პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 253 (19095) შაბათი, 3 ნოემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

სოფლის მეურნეობის, დამამზადებელი, სატრანსპორტო, გადამამუშავებელი და სავაჭრო საწარმოთა მუშაკებო! არ დაუშვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები!

ყველაფერი, რაც მოვყავანილია, შევინარჩუნოთ და გამოვიყენოთ ხალხის საკეთილდღეოდ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

პარტიული დახასიათება

ისე რელიეფურად არც ერთ დოკუმენტში არ უნდა ვლინდებოდეს კომუნისტის სახე, როგორც პარტიულ დახასიათებაში. ეს დიდ ხელოვნებას და პრინციპულობას მოითხოვს, რადგან მასში უნდა აისახოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, მთელი მისი ცხოვრება. როგორც იუველირი ხეხავს ძვირფას ქვას, ასევე ზუსტად უნდა გამოითალოს კომუნისტის დახასიათება.

წერილში, რომელიც დაწერილია 1921 წელს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შემდეგი დახასიათება მისცა მუშაკს: „ერთგულია, მაგრამ ყბედია..." ამ სიტყვებით ჩანს ზიზღი ბაქიობის და მეტიჩრობის მიმართ, რომლებიც დღესაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ აქა-იქ გვხვდება. ერთ-ერთი მუშაკით დაინტერესებულმა ლენინმა 1921 წლის აგვისტოში მოითხოვა შეეტყობინებინათ მისთვის, თუ რამდენად ვარგისია იგი: 1) კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, 2) პოლიტიკურად, 3) საქმის ცოდნით, 4) ადმინისტრაციული უნარით. ამ და სხვა აუცილებელი საკითხების გათვალისწინებით უნდა იქმნებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც პარტიული დახასიათებაა.

აი, როგორ მგზნებარედ ახასიათებდა ლენინი იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვს: „...ჯერ კიდევ სავსებით ჭაბუკი, იგი, განიმსჭვალა თუ არა პოლიტიკური შეგნებით, ერთბაშად და მთლიანად გადაეშვა რევოლუციაში... მხოლოდ მან შესძლო ბრძოლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში... გამოემუშავებინა თავის პიროვნებაში პრაქტიკოსის შესანიშნავი ალღო, ორგანიზატორის შესანიშნავი ნიჭი, ის უეჭველად ურყევი ავტორიტეტი, რომლის წყალობით იაკობ მიხეილის ძე მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ერთპიროვნულად განაგებდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის უდიდეს დარგებს".

პარტიული დახასიათების მომზადების და განხილვის დროს უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც გვქონდა და გვაქვს პარტიული მუშაობის არსენალში. დიდ დახმარებას გაგვიწევს ერთიანი ნიმუშის პარტიული ბილეთის მიღების წინ, 1920 წლის 17 სექტემბერს ვ. ი. ლენინის მიერ შევსებული ანკეტა. იგი საკმაოდ ვრცელი იყო. მარტო ძირითადი კითხვები ორმოცდახუთს შეადგენდა. მაგრამ ბელადი მაშინაც, როგორც ყოველთვის, თავისთვის არავითარ გამონაკლისს არ უშვებდა და ყოველ კითხვას უპასუხებდა. აი, ზოგიერთი მათგანი:

„რა დროიდან ხართ რკპ(ბ) შემადგენლობაში?": „დაარსებიდან და უფრო ადრეც (1893)", — უპასუხა ჩვენი პარტიის დამაარსებელმა. „რით გამოიხატა თქვენი მონაწილეობა თებერვლის რევოლუციაში?", — ეკითხებოდა ანკეტა: „არაფრით, გარდა საერთო პარტიული მუშაობისა".

შესანიშნავია ბელადის პასუხი კითხვაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში მონაწილეობის შესახებ. აი ისიც: „ცენტრალური კომიტეტის წევრი".

რა ძლიერად ჟღერს ლენინის სიტყვები კითხვაზე: „რა დოკუმენტები და მოწმობები გაქვთ იმის დასადასტურებლად, რომ თქვენ იყავით ჩვენს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში?" —„დოკუმენტია პარტიის ისტორია".

დიდი ინტერესით ეცნობი ანკეტის სხვა კითხვებს და პასუხებს: „რა პარტიულ მუშაობას ასრულებთ ამჟამად?": ორი სიტყვით ამოიწურა პასუხი „ცკ-ის წევრი". ერთ-ერთ კითხვაში ნათქვამია: „რა გაქვთ წაკითხული მარქსის, ენგელსის, ლენინის, კაუცკის, პლეხანოვის თხზულებებიდან?". ვლადიმერ ილიას ძე ორ ხაზს უსვამს ყველა ჩამოთვლილი ავტორის ქვეშ, გარდა ლენინისა და უპასუხებს: „თითქმის ყველა (ხაზგასმული ავტორებისა)".

„რა თემაზე გამოსულხართ მუშებისა და გლეხების წინაშე ან წაგიკითხავთ ლექციები?". „მეტწილად პოლიტიკურ თემებზე". „წერთ თუ არა სტატიებს გაზეთებში, სად და რა თემებზე?" „იშვიათად, პოლიტიკურ თემებზე",— კვლავ თავმდაბლად უპასუხა ლენინმა. „შეგიძლიათ თუ არა დაწეროთ ფურცლები, მოწოდებანი, რა დაგიწერიათ ამ დარგში?". ბელადის მოწოდებანი ჰქონდნენ მთელ მსოფლიოში, აღაფრთოვანებდნენ მილიონობით მშრომელს. „დიახ. ჩამოთვლა შეუძლებელია, ბლომად იყო", უპასუხებს ლენინი. „დარგი რომელ დარგში გრძნობთ თავს განსაკუთრებით ძლიერად და რომელ საკითხებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ლექციები და ჩაატაროთ მეცადინეობა?": „უმეტესად პოლიტიკურ საკითხებზე".

არის ასეთი ადგილიც: „იყავით თუ არა რეპრესირებული რევოლუციური საქმიანობისათვის?": პასუხი: „1887 — პატიმრობა; 1895-1897 — პატიმრობა, 1898-1900 — ციმბირი; 1900 —პატიმრობა". „რამდენ ხანს დაჰყავით საპყრობილეში?": — „რამდენიმე დღე და 14 თვე". „კატორღაში?" — „არ ვყოფილვარ". „გადასახლებაში?" — „სამ წელს", „ემიგრაციაში?" „9-10 წელს". როგორ შეიძლება უფრო თავმდაბლურად, თავშეკავებულად თქმულიყო ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

ყველა სახის ანკეტაში, რომელიც კი შეუვსია ვლადიმერ ილიას ძეს, შეკითხვას: ძირითადი საქმიანობა, პასუხობდა: ლიტერატორი, ჟურნალისტი. ასე განსაზღვრავდა თავის პროფესიას ლენინი დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. მაგრამ აი, რევოლუციამ გაიმარჯვა. ლენინი საბჭოთა მთავრობის მეთაურია. 1918 წლის შემოდგომაზე, როგორც კი შეიქმნა საბჭოთა ჟურნალისტების კავშირი, ლენინი მისი წევრი გახდა. 1918 წლის 24 ოქტომბერს „პრავდამ" ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: „22 ოქტომბერს საბჭოთა ჟურნალისტების პროფესიული კავშირის კომიტეტის სხდომამ მოისმინა შემდეგი წერილობითი განცხადება: „გთხოვთ ჩამრიცხოთ წევრად საბჭოთა ჟურნალისტების პროფესიულ კავშირში. ვლ. ულიანოვი (ლენინი)". გაზეთს კომენტარი არ გაუკეთებია ამ ცნობისათვის, თვლიდა, რომ იგი საკმაოდ მჭევრმეტყველური იყო. უფრო მოგვიანებით, 1922 წელს, ანკეტის კითხვაზე — „რამდენი წელი მუშაობთ თქვენი პროფესიით?" —უპასუხა: „28 წელი, როგორც ლიტერატორი".

სხვადასხვა დროს ლენინის მიერ შევსებულ ანკეტებში ასეთი კითხვა-პასუხია: „ეროვნება" — რუსი, „მშობლიური ენა" —რუსული, „ჯანმრთელობა"— ჯანმრთელი, „რა განათლება მიიღეთ და სად"? ა) ზოგადი — გიმნაზია, ბ) სპეციალური — 1891 წელს ექსტერნად ჩააბარე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; კითხვაზე მამის პროფესიის შესახებ ნათქვამია: „სახალხო სასწავლებლების დირექტორი". საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ ანკეტის კითხვაზე — „თუ ღმერთი არ გწამთ, რა ასაკიდან?": ბელადი უპასუხებს: „16 წლიდან". ეს მოწმობს, რომ ვლადიმერ ილიას ძის მატერიალისტური მსოფლმხედველობა ძლიერ ადრე გამოისახა.

დახასიათების მიცემის უბადლო ოსტატი იყო იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. სამოქალაქო ომის გმირს გიორგი კოტოვსკის იგი ასე ახასიათებდა: „ყველაზე მამაცი ჩვენს თავმდაბალ მეთაურთა შორის და ყველაზე თავმდაბალი მამაცთა შორის —ასეთი მახსოვს ამხ. კოტოვსკი". ხოლო ფელიქს ძერჟინსკის შესახებ წერდა: „როცა ახლა, ახლოს კუბოსთან იგონებ ამხ. ძერჟინსკის მიერ განვლილ მთელ გზას... — გინდა დაახასიათო ეს მჩქეფარე ცხოვრება ერთი სიტყვით: „წვა".

ბაქოში, კიროვის სახლ-მუზეუმში მნახველები ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობიან კიროვისადმი პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის მიერ მიცემულ დახასიათებას. მასში ნათლად ახსნილია ამ შესანიშნავი ადამიანის მთელი ცხოვრება და ბრძოლა. აი, მთლიანად ეს დახასიათება.

— წინანდელი მუშაობის შეფასება (ჯგუფზე მიმართების მოტივირება): ამხ. კიროვი წინათ მუშაობდა არმიაში მნიშვნელოვან პასუხსაგებ სამხედრო პოსტზე და ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი იყო თავისი კვალიფიკაციით; სულ ცოტა რომ ითქვას, იგი სამხარეო მასშტაბის მუშაკია. ჯერ კიდევ მენშევიკურ საქართველოში რსფსრ წარმომადგენლად ყოფნისას თავი გამოიჩინა, როგორც ერთ-ერთმა დიდმა პოლიტიკურმა მუშაკმა.

— აქვს თუ არა პრაქტიკული გამოცდილება? უჩვენეთ მისი ხანგრძლივობა უდაბლესი საფეხურის ჩათვლით (საბჭოთა, სამეურნეო, პარტიულ, პროფკავშირულ სამუშაოზე): აქვს ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება სამხედრო და პოლიტიკური მუშაობის დარგში.

„იყო თუ არა სამუშაოს ხელმძღვანელი (ინიციატივა გამოიჩინა თუ მხოლოდ დავალებებს ასრულებდა), ფორმალურად ასრულებდა თუ არა სამუშაოს? მუშაობდა რა პასუხსაგებ პარტიულ-პოლიტიკურ პოსტზე, ფაქტობრივად მუდამ ხელმძღვანელობდა სამუშაოს. დიდი ინიციატივის და უდიდესი გაქანების მუშაკია.

— გამოიჩინა თუ არა მუშაკების შერჩევისა და მათდამი ხელმძღვანელობის უნარი? იყო რა მთელ რიგ პასუხსაგებ სამუშაოთა ხელმძღვანელი, ჰქონდა მუშაკის შერჩევის და მათი ხელმძღვანელობის უნარი.

— პარტორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება და დისციპლინიანობა: პარტორგანიზაციისადმი დამოკიდებულება შეგნებული აქვს და პარტიის დისციპლინიანი წევრია.

— მუშაკის შეფასება იმ თანამდებობის მიხედვით, რომელზეც იგი იმყოფებოდა დახასიათების შევსების ჟამს, ფაქტობრივად არის სამუშაოს ხელმძღვანელი (გამოიჩინა ინიციატივა), თუ მხოლოდ დავალებებს ასრულებს (ფორმალურად ასრულებს სამუშაოს): ამჟამად მუშაობს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. არის რა ფაქტობრივი ხელმძღვანელი აზერბაიჯანში, იგი ამასთანავე მონაწილეობს

(დასასრული მე-2 გვ.)

საოქტომბრო ვახტზეა რესპუბლიკა

არის ოთხი წლის დავალება

შესანიშნავი შედეგებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავს „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. სამთოელებმა ჯერ კიდევ შვიდი ოქტომბრისათვის შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა და კვლავ უმატეს შრომის ტემპს. ოთხი წლის დავალების გადამეტებით აქ 7 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ.

სამთოელები დამატებით პარტიულ დავალებასაც პირნათლად ასრულებენ. შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით ერთით კი არა, 3,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება დამატებით 1,1 პროცენტით შემცირდა, ზეგეგმითმა მოგებამ 118 ათასი მანეთი შეადგინა. უთუოდ აღსანიშნავია, რომ „საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივმა მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მონაცემებითაც გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროსა და ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, აგრეთვე ფულადი პრემიით.

ცხადია, ეს დიდი წარმატებები უზრუნველყვეს გაერთიანების ცალკეული საწარმოების კოლექტივებმა. სარემონტო-მექანიკური ქარხნისა და „საქცეოლითის" საწარმოთა კოლექტივებმა, მაგალითად, ოთხი წლის დავალებას მიმდინარე წლის მარტის დამლევისათვის, ხოლო „საქგუმბრინისა" — სექტემბრის შუა რიცხვებისათვის გაართვეს თავი. დიდ წარმატებას აღწევენ ცანის სამთო ქიმიური ქარხნის მშრომელებიც. მათ ორი იანვრისათვის უპატაკეს სამშობლოს ოთხი წლის დავალების შესრულება.

შემართებით იბრძვიან საბოლოო შედეგებისათვის ჩორდის ბარიტისა და „საქგუმბრინის" მაღაროთსამმართველოების ზეინკლები, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები შ. ორდინიძე და გ. სინაურიძე, მახარაძის მაღაროთსამმართველოს ავტოთვითმცლელის მძღოლი, საკავშირო პროფსაბჭოს პრემიის ლაურეატი ე. მენაბდე, სარემონტო-მექანიკური ქარხნის ელექტროშემდუღებლები ზ. ტუტაევი და შ. პაიჭაძე, „ქუთბარიტის", ჩორდისა და „საქგუმბრინის" მაღაროთსამმართველოების გვირაბგამყვანები რ. კახიძე, ე. სვანი და ვ. ფანცხავა, „საქცეოლითის" საწარმოების ექსკავატორის მემანქანე დ. ჩეჩელაშვილი, ცანის სამთოქიმიური ქარხნის გამომწვავები ვ. ჰელიძე და ძ. ავალიანი.

„საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივი, მისი ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები პირობას იძლევიან, რომ კვლავ ამრავლებენ წარმატებებს, მიაღწევენ უფრო უკეთეს შედეგებს.

შ. ამაშუკელი.

ბათუმი

მადანმზიდი „ფილიპე მახარაძე" წელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყო და ათასობით ტონა ტვირთი გადაზიდა. განვლილ თვეებში ეკიპაჟმა დაზოგა 109 საათი საექსპლოატაციო დრო და 22 ათასი მანეთის სათბობ-საპოხი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნოვატორებმა. მათ თერთმეტი რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა 6500 მანეთი შეადგინა.

ეკიპაჟმა გადაწყვიტა ახალი რეისი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავს მიუძღვნას და წარმატებით დაამთავროს იგი. (საკ. კორ.).

ლენტეხი

წლიური გეგმა — 25 დეკემბრისათვის! — ასეთი ვალდებულება აიღო სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდა კოლექტივმა. მიმდინარე წლის მარტო პირველ სამ კვარტალში საწარმომ გამოუშვა და სავაჭრო ბაზებს ჩააბარა 972 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, მკერავებმა კარგად იმუშავეს ოქტომბერშიც.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობს მკერავ გოგონათა მეორე ბრიგადა, რომელსაც რაიონული საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი დარეჯან მუსელიანი ხელმძღვანელობს. ბევრია ისეთი მკერავი, რომელმაც შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა და ახლა იანვარ-თებერვლის ანგარიშში შრომობს. მათ შორის არიან ლოლა ლიპარტელიანი, ნათელა ქურასბედიანი, ციცინო გასვიანი, ნესტან ონიანი, მაია ფურცელაძე და სხვები. ეს გოგონები არა მარტო შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც პირველობენ.

(საკ. კორ.).

უპატაკებენ სამშობლოს

● **საქართველოს** სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის 2 ნოემბრის მონაცემებით, რესპუბლიკაში მოიკრიფა 732.775 ტონა ყურძენი (გეგმის 96,4 პროცენტი), აქედან კახეთის რეგიონში — 500.763 ტონა (გეგმის 93,3 პროცენტი), ქართლისაში — 62,318 ტონა (გეგმის 75,03 პროცენტი), დასავლეთ საქართველოს რაიონებში — 169,694 ტონა (გეგმის 120,9 პროცენტი).

● **ამ** დღეებში ყურძნის დამზადების წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულეს მცხეთის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ვანის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ონის, ცაგერის რაიონების მეზვრეებმა.

ქართლში 1 ნოემბერს მოიკრიფა 307, დასავლეთ საქართველოს რაიონებში — 4509 ტონა ყურძენი.

● **ზუგდიდელმა** მშრომელებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამჯერად თავი ისახელეს მებაღეებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის დავალება. საგეგმო 8060 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 8185 ტონა. ხილის დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კუტალიამ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ მ. დემერიამ.

● **ზამთარი** კარს მოგვადგა. საამისოდ კარგი თადარიგი დაიჭირეს ახალქალაქელმა მეცხოველეებმა. მათ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისა და ზამთარშიაც მაღალი წველადობის შენარჩუნებისათვის საკმაოზე მეტი საკვები მოიმარაგეს. რაიონის მშრომელებმა 82.339 ტონის ნაცვლად დაამზადეს 85.624 ტონა უხეში საკვები. გადაჭარბებით შესრულდა წვნიანი საკვების მომარაგების დავალებაც.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მულაროვმა და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ მ. ალელიშვილმა.

● **ოქტომბრის** ზეიმს ხელდამშვენებული ხვდებიან ახალციხის რაიონის მშრომლები. სახელმწიფოს მიეყიდა 1.155 ტონა მარცვლეული, 1.145 ტონის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის მიყიდვის 9 თვის დავალებანი. პირუტყვისათვის დამზადდა საკუთარი წარმოების წლინახევრის სამყოფი საკვები. წარმატებით იშრომეს მრეწველობის მუშაკებმაც. 10 თვეში საგეგმო 28 მილიონ 62 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად წარმოებულია 29 მილიონ 92 ათასი მანეთის პროდუქცია. რაიონის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საგეგმო დავალება 105,5 პროცენტით შესრულდა.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. კოტეტიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. მაკარიძემ და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ე. ხითარიშვილმა.

ჩვენს ქვეყანაში

[illegible] კორესპონდენტები გვაცნობებენ

ყველგან და ყველაფერში ელექტრონიკა

ბელორუსიის სსრ. საინტერესო ნამუშევრებს, რომლებსაც ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის ინსტიტუტში ქმნიან, ფართოდ იყენებენ მრეწველობაში. სტარობინსკის კალიუმის მაღაროებში გამოსცადეს ავტომატური ორიენტაციის სისტემა „პლასტი", რომლებიც გათვალისწინებულია სამთომომპოვებელი და გვირაბგამყვანი კომბაინებისათვის. მის გულს წარმოადგენს ინსტიტუტში შემუშავებული ელექტრონული აპარატურის კომპლექსი. ახალი სისტემის გამოყენება შესაძლებელს ხდის მანქანურად მოიპოვონ წიაღისეული სანგრევში ადამიანის დაუსწრებლად, მკვეთრად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გააუმჯობესებს მადნის ხარისხს.

ელექტრონიკის წარმატებით იყენებენ აგრეთვე სახარატო და საფრეზი ჩარხების, საფეიქრო დაზგებისა და სხვა მექანიზმებისათვის. „რიტმის" და „ეპიტრონის" ტიპის დანადგარებს იყენებენ მიკროელექტრონიკაში, ხელსაწყოთ და მანქანათმშენებლობაში, ტექნიკის სხვა დარგებში.

მეცნიერთა მთელი რიგი გამოკვლევები საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით და დიპლომებით აღინიშნა.

სურათზე: ელექტრული და მაგნიტური გაზომვების ლაბორატორიის გამგე ვ. პ. მელნიკოვი, ინჟინერ-კონსტრუქტორები ლ. ვ. ბაბიჩევი და ა. ბ. კრასნობაევი, განყოფილების გამგე მ. ა. შამრილო.

ჭაღარა დაუგავის ნაპირას

საბჭოთა ლატვია თავისი მრავალფეროვანი ლანდშაფტით და შუა საუკუნეების უნიკალური არქიტექტურული ძეგლებით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სატურისტო ცენტრი გახდა. რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, მის კულტურასა და ტრადიციებს ყოველწლიურად 6 მილიონი ტურისტი ეცნობა. რესპუბლიკის სტუმრებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მისი დედაქალაქი რიგა — არქიტექტურული ძეგლი, რომლის მარგალიტია ძველი ქალაქი. წერილობით პირველად იგი მოხსენიებულია 1201 წელს.

სურათზე: ძველი რიგა—შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლი.



„ჟიგულები" მიცურავენ

კუიბიშევის ოლქი. ჟიგულების მთების შემოგარენიდან მიუყვებიან თავის შორეულ გზებს „ჟიგულის" მარკის საიმედო და ეკონომიური ავტომობილები, რომლებიც ტოლიატში ვოლგის ავტოქარხანაში კეთდება. ავტომშენებლები მათ გზავნიან მატარებლებით, სპეციალური ავტომისაბმელებით. მანქანები გადააქვს ავტომობილმზიდ გემსაც, რომელსაც ასევე „ჟიგული" ჰქვია. ერთ რეისზე მას ხუთასამდე ავტომობილი გადააქვს ვოლგისა და კამის ნავსადგურებში.

სურათზე: ავტომობილმზიდი მორიგ რეისში.

მიფრინავს „კოსმოს - 1607"

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1607". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მეგობრობის დროშით

დღეს საბჭოთა ტაჯიკეთი ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკაა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში. ეს აღინიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოსკოვში 1 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მოეწყო ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ტაჯიკეთის დღესთან დაკავშირებით.

ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უ. გ. უსმანოვი.

ახლა ტაჯიკეთის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით თავიანთი თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა განხორციელებაში.

მის აღმატებულებას ბატონ
რაჯივ განდის,
ინდოეთის რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტრს

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მაღალი პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა.

საბჭოთა ადამიანები სიმპათიით ეკიდებიან ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრისათვის, მსოფლიო საქმეებში ინდოეთის როლის ამაღლებისათვის მეგობარი ინდოელი ხალხის მეცადინეობას. ამ ამოცანათა გადაწყვეტა ჯავაჰარლალ ნერუსა და ინდირა განდის ცხოვრების საქმე იყო. გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენ წარმატებით განაგრძობთ ამ კეთილშობილურ მისიას.

საბჭოთა კავშირის ხალხი და ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინდოეთთან მეგობრობისა და თან[illegible] ლი ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებას [illegible] ბული ბრძანდებოდით, რომ საბჭოთა კავშ[illegible] ხელი შეუწყოს მისი ეკონომიკის შემდგომ [illegible] თაშორისო წონის გადიდებაში.

სსრ კავშირისა და ინდოეთის მხარდ[illegible] ლით ასპარეზზე სულ უფრო შესამჩნევ [illegible] დენს მდგომარეობაზე აზიაში და მის ფარგლ[illegible] რო დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორი[illegible] სამში გამწვავების პირობებში. დარწმუნებ[illegible] კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა კვლავაც [illegible] ნების ხალხების ინტერესებისათვის, საყოველ[illegible] როების უზრუნველყოფისათვის.

გისურვებთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, [illegible] თის მთავრობის მეთაურის პოსტზე თქვენს [illegible]

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ეწვივნენ ინდოეთის საელჩოს

1 ნოემბერს კ. უ. ჩერნენკო, ა. ა. გრომიკო, მ. ს. სოლომენცევი [illegible]

სურათზე: ინდოეთის საელჩოში.

[illegible]-საკონფერენციო დარბაზში.

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება

2 ნოემბერს მოსკოვიდან დელიში გაემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ი. განდის დაკრძალვაში.

• • •

ამავე დღეს დელეგაცია დელიში ჩავიდა.

(საქტასი).

პარტიული დახასიათება

(დასასრული)

სამხარეო საქმეებში და არსებითად არის სამხარეო მასშტაბის უაღრესად დიდი პოლიტიკური ტაქტის, უნარიანი და ფრიად გამჭრიახი მუშაკი.

— იმავე დარგის სამუშაოზე დარჩეს თუ მიზანშეწონილია, რომ სხვა სამუშაოზე გამოიყენოთ (მოტივი)? უდავოდ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას უმთავრესად პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზე.

— არის თუ არა იმის შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე, არის თუ არა მონაცემები გამოყენებისათვის? მონაცემები უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე გამოყენებისათვის აქვს და უფრო პასუხსაგები სამუშაოს ხელმძღვანელობას შეძლებს, მაგრამ მისი გადაყვანა აზერბაიჯანიდან პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი მოტივების გამო მიზანშეუწონელია.

— მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა გამოგვეყენებინა საწარმოში, მაზრაში დაბალ სამუშაოზე გუბერნიის მასშტაბის მუშაკთა აღრიცხვიდან მოუხსნებლად? არა.

— მარქსისტული მომზადება. სისტემატური მარქსისტული განათლება (სკოლაში, წრეში) მიიღო, არასისტემატური, საწრეო თვითგანათლება, თუ მარქსისტულად მოუმზადებელია? მტკიცე მარქსისტული აღზრდა და განათლება მიიღო ნაწილობრივ ძველ არალეგალურ წრეებში, ნაწილობრივ თვითგანათლებით.

— მარქსიზმის თეორეტიკოსია თუ პრაქტიკოსი? უპირატესად მარქსიზმის პრაქტიკოსია.

აქვს თუ არა დამოუკიდებელი ნაშრომები, სტატიები და სხვ. მარქსიზმში ან ცალკეულ საკითხებზე? დიდებული ჟურნალისტია, თუმცა უკანასკნელ ხანს სრულიად არ წერს. როგორც ჟურნალისტს, აქვს უამრავი სტატია სხვადასხვა საკითხებზე.

— პირველი თვისებები — პოლიტიკური სიმტკიცე ამჟამად. ჰქონდა თუ არა წინათ გადახრა და მერყეობა ბოლშევიზმისა და მარქსიზმისაგან? უცილობლივ მტკიცე და პარტიის გამობრძმედილი წევრია. ბოლშევიზმისაგან გადახრა არ ჰქონია.

— ენერგიულობა: ენერგიული მუშაკია.

— სიმტკიცე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში: მიღებული გადაწყვეტილებების, განსაკუთრებით ზემდგომი პარტიული ორგანოების (რკპ ცენტრალური კომიტეტის, რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის) გადაწყვეტილებათა განხორციელებაში უაღრესად მტკიცეა.

— თავდაჭერის უნარი: მშვიდი, დინჯი მუშაკი. აქვს დიდი პოლიტიკური ტაქტი, ნაწრთობია და მამასადამე ძალუძს თავდაჭერა.

—შეუძლია თუ არა აღიაროს საკუთარი შეცდომა და გააკეთოს შესაბამისი დასკვნა? როცა შეცდომა დაშვებულია ან ჩადენილია, იგი ამას სწრაფად აღიარებს და შესაბამის დასკვნებს აკეთებს. იგი არ ჰგავს იმათ, ვინც თავმოყვარეობის გამო არ აღიარებს თავის შეცდომებს.

—დამოკიდებულება პარტიული ამხანაგებისადმი: თანამშრომლებისადმი, ხელქვეითებისადმი ამხანაგური და თავაზიანი.

— განსაკუთრებული ღირსება: განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ დიდებული ორატორია.

— ორგანიზატორული, ადმინისტრაციული უნარი: აქვს ორგანიზატორული და ადმინისტრაციული უნარი...

აი, როგორ ახასიათებდნენ სერგეი მირონის ძე კიროვს. აი, როგორ უნდა იწერებოდეს დახასიათება!

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ წლებში დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას, დისციპლინის განმტკიცებას და კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას. შემოღებულმა პარტიული კადრების ატესტაციის ჩატარებამ, სახელდობრ კი, პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე მათი ანგარიშების მოსმენამ და დახასიათებათა დამტკიცებამ მოწონება დაიმსახურა. ამავე დიდი მიზნების განხორციელებას ემსახურება დაწინაურებული ან სხვა ნომენკლატურულ თანამდებობაზე გადაყვანილი მუშაკის ინფორმაციის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება შენიშვნები და სურვილები, რომლებსაც დახასიათება შეიცავს.

ხშირად ასე ხდება: რომელიმე ამხანაგზე ითხოვენ დახასიათებას და მაშინ უსათუოდ იბადება კითხვა: რისთვის სჭირდებათ. აწინაურებენ თუ პირიქით აქვეითებენ? თუ დაწინაურებაზეა ლაპარაკი, სალებავებს არ იშურებენ და ნაირფერად ხატავენ მის დადებით მხარეებს, ნაკლს კი ჩქმალავენ და პირიქით, თუ სურთ დაასაბუთონ მუშაკის განთავისუფლება, დაწვრილებით აღწერენ მის არსებულ და არარსებულ ნაკლოვანებებს, დადებითს კი ფარავენ. ორივე მოქმედების არსი ერთია — არაპარტიული დამოკიდებულება კადრების შეფასებისადმი. ბევრგან დახასიათებებს ადგენენ გარკვეული შტამპის მიხედვით, ხშირად ისინი სტერეოტიპური არიან და არ იძლევიან ყოველმხრივ წარმოდგენას კომუნისტის თვისებებზე.

სწორედ ამიტომ იყო, ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ერთ-ერთ გამოსვლაში რომ ამბობდა: დახასიათებები, ძირითადად შაბლონურია, შეიცავს ზოგად ფრაზებს, რაც შესაძლებლობას არ გვაძლევს ვიმსჯელოთ ადამიანთა პირად თვისებებზე... პარტიულ დახასიათებებში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს, თუ როგორ ზრდის იგი თავის შვილებს, როგორ ასრულებს მშობლის მოვალეობას. ეს უნდა იყოს თითოეული კომუნისტის სოციალური პორტრეტი მისი საქმიანი, პოლიტიკური, მორალური თვისებების დახასიათებით, მისი ნაკლოვანებების, ხარვეზების, შეცდომების, საძრახისი საქციელის მითითებით მდგომარეობის გამოსწორების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის წინადადებით და კომუნისტმა უნდა იცოდეს, რომ დადგება დრო, როცა მას მოუწევს აუცილებლად მოახსენოს პარტორგანიზაციას, თუ რა გააკეთა მისი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების პასუხად, რა დასკვნები გამოიტანა, როგორ ასწორებს ნაკლოვანებებს.

ახლა როდესაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა ანგარიშების მოსმენასთან ერთად მიმდინარეობს მათი პარტიული დახასიათებების განხილვა და დამტკიცება, ამ დოკუმენტში აღნიშნავენ თუ როგორ ასრულებს კომუნისტი სამსახურებრივ მოვალეობას, პარტიულ დავალებებს; შეტკივა თუ არა გული საერთო საქმეზე არა სიტყვით, არამედ საქმით? იძლევა თუ არა პირად მაგალითს, თუ ტელეფონს და თათბირებს უნდება? არის თუ არა მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს სამართლიანი, ყურადღებიანი? აქვს თუ არა უნარი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანისა? როგორ იმაღლებს თავის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს? აკრიტიკებს რა სხვას, ნათლად ხედავს თუ არა საკუთარ ნაკლოვანებებს, თუ მბრძანებლობს, ყველას ჭკუას ასწავლის? ხომ არ ახასიათებს ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება? თავმდაბალია თუ არა კომუნისტი? ხდება ხოლმე: კაცი სამსახურებრივ კიბეზე ოდნავ აიწევს და იგი ყოყოჩობს, ინდაურივით იფხორება...

დიდიხანია დაძლეულია შავი ჭირი, დამარცხებულია მალარია. უდავოა, ერთ დროს ყველაზე უფრო საშიში დაავადების — ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებები და ასე შემდეგ. მაგრამ არის ავადმყოფობა, რომელიც თითქოს განუკურნებელია. ეს სენი — მლიქვნელობაა. უნდა გახსოვდეს: მლიქვნელი თვალით დაფარული ვულკანია. მლიქვნელობით გარშემორტყმული ხელმძღვანელი ასაფეთქებლად გამზადებულ კასრზე ზის. თავისი თანამდებობის შენარჩუნებისათვის ზოგიერთი ცდილობს ირგვლივ შემოიკრიბოს პირმოთნეები, მუშაკებს არჩევს პირადი ერთგულების პრინციპის მიხედვით. ისინი უნდა „განვკურნოთ". მათთვის უებარი წამალი იქნება პრინციპული პარტიული დახასიათება. ჩავუწეროთ: „მლიქვნელია და უყვარს მლიქვნელები"; „არა, მას ეს პოსტი არ ეკუთვნის. სჯობს სხვამ, ღირსეულმა დაიკავოს".

პარტიული დახასიათების პროექტის წინასწარ მოსამზადებლად, პარტბიუროს გადაწყვეტილებით, ან პარტორგანიზაციის მდივნის, პარტჯგუფორგის დავალებით გამოიყოფა ამხანაგების ჯგუფი ან ერთი ამხანაგი. ისინი ანგარიშით გამომსვლელ კომუნისტთან ერთად გულდასმით და ყოველმხრივ ამზადებენ დახასიათებისათვის საჭირო ყველა მასალას და პარტიულ კრებაზე ოპონენტის მსგავსად გამოდიან. წარმოდგენილი პარტიული დახასიათების პროექტს აუცილებლად უნდა დაემატოს კრებაზე გამოთქმული ყველა ობიექტური შენიშვნა, წინადადება. ყოველივე ამის შემდეგ პარტიულ დახასიათებას ამტკიცებს პარტიული კრება. სწორად მიუთითებენ: უპრინციპობა, არაობიექტურობა, გაზვიადება, დამსახურებათა შელამაზება, მლიქვნელობა, ისევე როგორც ღირსებების დამცირება, ნაკლოვანებათა გადამლაშებულად წარმოდგენა, სალებავების გამუქება, განიხილება პერსონალური პასუხისმგებლობის კუთხით. ანგარიშების მოსმენისას დახასიათებითა დამტკიცებასთან ერთად პარტიული კრება იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც მოცემულია კომუნისტის შეფასება და გამოხატულია მასზე პარტიული ორგანიზაციის შეხედულება. გაზეთებში „კომუნისტსა" და „ზარია ვოსტოკაში" კონკრეტულად, საინტერესოდ იყო მოთხრობილი ამის შესახებ. სამართლიანია მოთხოვნა, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტის ანგარიშის ჩვეულებრივი ვადის გასვლამდე საჭიროების შემთხვევაში მოისმინოს მისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს იგი მის პარტიულ დახასიათებაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, როგორ ითვალისწინებს მისი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებსა და სურვილებს.

ყველა პატიოსანი და თავდადებული კომუნისტი მხარს უჭერს ამ სიახლეს. მისი ეშინია მხოლოდ მათ, ვინც გრძნობს დანაშაულს, ვინც პატიოსნად არ ცხოვრობს და არ მუშაობს. ჩვენში მიღებულია პარტიის შედარება ციხე-სიმაგრესთან. დიდებული შედარებაა! არ შეიძლება ჩვენი პარტიის რიგებში იმათი მოთმენა, ვინც პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს, ვისაც გულთან არ მიაქვს ხალხის და პარტიის საქმე, ვინც უხეშად არღვევს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას.

ყოველი პარტიული დახასიათების საფუძველი უნდა იყოს რწმენა, პატიოსნება, წვა მუშაობაში. გზა, რომლითაც მიდიან ქართველი კომუნისტები, ყოველთვის სხვებზე უფრო ძნელია. შურიანს მათი შური, უქნარას ისინი აღიზიანებენ, ლაჩარს მათი ეშინია. მაგრამ ყოველი თავდადებული მათკენ მიისწრაფვის. ცოტა ხნის წინათ სიღნაღის რაიონში ვიყავი და პარტიის რაიონული კომიტეტის კარებზე წავიკითხე: „ყველანი რთველში ვართ". წავიკითხე და აღფრთოვანებული დავრჩი. ახლებურად იწყება მუშაობა. გამახსენდა სამოქალაქო ომის დროის დაუვიწყარი ფურცელი, როცა რაიკომის კარებზე ეწერა: „რაიკომი დაკეტილია. ყველა ფრონტზე წავიდა". ასე დიდებულად გრძელდება ტრადიცია. წარწერები: „ყველანი რთველში ვართ", „ყველანი ჩაიში ვართ", „ყველანი მოსავლის აღებაზე ვართ" — შეიძლება ვნახოთ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, საგარეჯოს, გარდაბნის, გორის, მცხეთის, სამტრედიის, თეთრი წყაროს და სხვა მრავალ ორგანიზაციაში. ასეთი წარწერები შთაგონების წყაროს ჰგავანან.

ადამიანს ერთი სიცოცხლე აქვს. მაგრამ როგორია ეს სიცოცხლე? კომუნისტის სიცოცხლე, როგორც ამბობენ ხოლმე, სწორედ დაბრკოლებების ყოველდღიური დაძლევაა. ამასწინათ ორგზის სოციალისტური შრომის გმირისაგან თამარ ყუფუნიასაგან, სოციალისტური შრომის გმირებისაგან მიხაკო ორაგველიძისაგან, ალექსანდრე კუტალიასაგან, ჯოტო ბჟალავასაგან, ვალერიან ღვინჯილიასაგან, ასობით რიგითი კომუნისტისაგან მოვისმინე პარტიული დახასიათებისათვის დიდებული სიტყვები: „რაც უფრო მეტია საქმე, მით უფრო საინტერესოა სიცოცხლე!". და კიდევ: რომ პარტიულ დახასიათებაში განსაკუთრებით ხაზი გაესვას პირად მაგალითს. ბრძოლაში და შრომაში ამხანაგი შეიძლება მხოლოდ პირადი მაგალითით გაიყოლიო, როცა სხვებთან ერთად შეებმები საერთო უღელში, თანაც არა როგორც დამხმარე, არამედ როგორც მთავარი ძალა. განა ერთი ადამიანი ასწევს ტვირთს, რომელსაც ათასების ძალა უნდა? ყველა ხედავს შენს ყოველ ნაბიჯს და იწყებს ხალხი შენსკენ დენას.

სიძნელეები არის და იქნება. თუ არ არის ისინი, თუ არ არის წარუმატებლობის სიმწარე და გამარჯვების იმედი, არც ბრძოლის წყურვილი, არც ბედნიერება იქნება. ყოველივე ეს კი უნდა აისახოს კომუნისტის პარტიულ დახასიათებაში.

თუ გინახავთ ალმასის წახნაგთა ელვარება! საოცარი სანახავია! ალმასს რომ იღებთ, ხედავთ, ზოგი წახნაგი ანათებს, სხვები მუქდებიან. თქვენ აბრუნეთ ის, სანამ ყველა წახნაგი ერთდროულად გაანათებს და ნახავთ სინათლისა და წყვდიადის დიდ საიდუმლოებას... ასე უნდა ვუდგებოდეთ ყოველ კომუნისტს, რომ ანათებდნენ ყველა წახნაგით. მაგრამ ვხედავთ და გვესმის ათასობით ადამიანის ხმა: ყველა ასეთი არ არის და პარტიულ დახასიათებაში უნდა ჩანდეს თითოეულის ზუსტი სახე.

ფილიპე მახარაძე,
საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კოლხეთი: აღორძინებული მიწა

საოცარი გარდაქმნები მიმდინარეობს კოლხეთის ჭაობზე, რომელსაც გაშლილი ფრონტით უტევენ ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი „კოლხეთმშენის" ტრესტის მელიორატორები. მარტო წლევანდელ 9 თვეში ტრესტმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე აითვისა 33 მილიონ მანეთზე მეტი, ხალხის სამსახურში ჩადგა 3.400 ჰექტარი მიწა, ეს თითქმის 600 ჰექტარით მეტია დავალებაზე.

აღმავლობით მუშაობს ამ დღეებში ლანჩხუთის რაიონის ტერიტორიაზე „კოლხეთმშენის" ტრესტის № 3 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივი.

სურათებზე: ინჟინერ-მელიორატორი გურამ ებრალიძე, მესამე მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი გაიდარ ცინცაძე და ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი თემურ დოლბაია (მარცხნიდან) სახავენ მელიორატორთა მუშაობის მორიგ ეტაპს; მესამე მოძრავ-მექანიზებული კოლონის საუკეთესო მექანიზატორი ბესარიონ იმნაიშვილი. იგი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ ნორმას; ჭაობსა და შამბნარს უტევს მძლავრი ტექნიკა.

ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პუბლიკაციათა
კონკრეტულობა,
გამიზნულობა,
ქმედითობა

რაიონული საქალაქო გაზეთი

ბრძოლის სამიზნეა კერძომესაკუთრული ტენდენციები

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დღის წესრიგიდან არასოდეს მოხსნილა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის, მათი თანამიმდევრული, გამიზნული და განუხრელი დაძლევის ამოცანა. უკვე თორმეტი წლის მანძილზე ეს პრობლემა ამა თუ იმ ასპექტით წინა პლანზეა წამოწეული საქართველოს კომპარტიის მიერ მოწყობილ და შემუშავებულ ყველა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებასა და დოკუმენტში.

საბჭოური ცხოვრებისათვის შეუფერებელი ნეგატიური მოვლენების ანტისაზოგადოებრივი ხასიათის მხილებისა და დაძლევის აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილებას მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში მდიდარი გამოცდილება დაგვიგროვდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ფაქტი, რომ სწორედ ეს აღინიშნა 1980 წლის 28-29 თებერვალს თბილისში ამ თემაზე გამართულ პირველ საკავშირო-სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, სადაც საბოლოოდ გამოიკვეთა განვითარებული სოციალიზმისათვის შეუფერებელი ანომალიების წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტები.

ისმება კითხვა: როგორია საქალაქო და რაიონული გაზეთების წვლილი ამ საქმეში?

ის, თუ რას აწვდის გაზეთი მკითხველს, ეს მისი მოღვაწეობის ერთი მხარეა, რომელიც ემპირიულად, ელემენტარულად სტატისტიკითაც შეიძლება შეფასდეს. მეორეა ის, თუ როგორ, რა ხერხებით და საშუალებებით ახერხებს ამას, აქვთ თუ არა პუბლიკაციებს გამიზნულობა, ეფექტი, პროფილაქტიკური, აღმზრდელობით-შემეცნებითი ღირებულება, რამდენად თვალსაჩინოა ადგილობრივი გაზეთების როლი კერძომესაკუთრული მოვლენების პროფილაქტიკურ ღონისძიებებში?

სარეცენზიოდ გამოვიყენოთ შარშანდელი იანვრიდან 1984 წლის აგვისტომდე გამოქვეყნებული მასალები.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ცალკეული საქალაქო და რაიონული გაზეთები აქტიურად იბრძვიან ცხოვრების სოციალისტური წესის განმტკიცებისათვის. ადამიანთა შეგნებაში კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის აღკვეთისათვის ბრძოლას გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი აქვს. საინტერესოა ამ თვალსაზრისით საქალაქო გაზეთები — „ქუთაისი" და „კუტაისკაია პრავდა", რომელთა ფურცლებზე აღნიშნულ პერიოდში ორმოცდაათზე მეტი მასალა გამოქვეყნდა. თუ გავითვალისწინებთ მკითხველთა გამოხმაურებებსაც, რომლებიც ამ გაზეთებმა დაბეჭდეს, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაოდენობრივად ყველაფერი რიგზეა, თუმცაღა არც შინაარსობრივად გამოიყურება საქმე ურიგოდ. პუბლიკაციები გამოირჩევა გააზრებით, მიზანსწრაფულობით, პუბლიცისტური სიმახვილითა და მებრძოლურობით. ასეთებია, მაგალითად, გაზეთ „ქუთაისში" შარშან 25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული „სამუშაო საათებში პირად საქმეებზე?!", 14 აპრილის და 23 აგვისტოს ნომრებში დაბეჭდილი „მღერიე ნიაღვარი" და „დაინტერესდით სხვათა ბედით", წელს 21 თებერვლის და 6 აპრილის ნომრებში გამოქვეყნებული „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს" და „ეს ცოცხლებს სჭირდებათ", აგრეთვე „კუტაისკაია პრავდაში" შარშან 3 თებერვლის და 18 აგვისტოს ნომრებში დაბეჭდილი კორესპონდენციები „როდის მოჰყვება სიტყვას საქმე?", „და კვლავ მოტყუება ზომა-წონაში", წელს 21 იანვარს გამოქვეყნებული წერილი „მშობლიური ქალაქის პრესტიჟს გაფრთხილება უნდა".

ეს პუბლიკაციები უკომპრომისოდ ამჟღავნებენ რეგიონში ჯერ კიდევ არსებულ კერძომესაკუთრულ ტენდენციათა სხვადასხვა მანკიერ მხარეს. ჟანრობრივადაც განსხვავებულ მასალებს (სტატია, მიმოხილვა, ფელეტონი, კორესპონდენცია, რეპორტაჟი და სხვ.) ერთი მთავარი იდეა აერთიანებთ: ამგვარ, ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელ მოვლენებს ჩვენში სოციალური საფუძვლები არა აქვს.

პირუთვნელად არის მხილებული და განქიქებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის, სპეკულაციის, საკოლმეურნეო ბაზრებში ქორვაჭრობის, კერძო რეწვის, სახელმწიფო ავტომანქანების პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენების, სახელმწიფო ქონების მითვისების, მექრთამეობის, გამოძალვისა და მომხვეჭელობის ფაქტები გაგრის საქალაქო, ზუგდიდის საქალაქო და რაიონული გაზეთის, მახარაძის, ბორჯომის, ზესტაფონის რაიონული გაზეთების ფურცლებზე. აღნიშნულ გაზეთებს საკმაოდ პრინციპული პოზიცია უკავიათ დანაშაულის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ისინი არ ერიდებიან მწვავე პრობლემების დასმას, დამნაშავეთა კონკრეტული მისამართების ჩვენებას, არ ელოდებიან მომხდარი დანაშაულის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოების რეაგირებას.

სამწუხაროდ, დასახელებული ფაქტები გამონაკლისია და საქალაქო და რაიონული გაზეთების მუშაობისათვის ზოგადდამახასიათებელ ტენდენციად ვერ ჩაითვლება. ზოგიერთი გაზეთი აშკარად ერიდება მწვავე პრობლემებს, არ ეძებს და ამჟღავნებს ფაქტებს.

ადიგენის რაიონული გაზეთის „განახლებული მესხეთის" მშრალ, ინფორმაციული ხასიათის პუბლიკაციებში უმეტესად საუბრობენ სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელები და თანაც ზოგადად, უმისამართოდ. საერთოდ არ ჩანს რედაქციისა და რაიონის მშრომელთა პოზიცია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

აბაშის რაიონულ გაზეთ „განახლებულ აბაშაში" ამ თემაზე გამოქვეყნებულ მასალებში არ იგრძნობა სიმწვავე. არ არის პრობლემის წარმმართველი მუდმივი რუბრიკა. გაზეთში გამოქვეყნებული ფელეტონების („ვაი-თამადა", „სიმღერა ზურაბ რეკვავასი", „ეს უძვირო ტაქსები" და სხვ.), მხატვრულ-პუბლიცისტური დონე მეტისმეტად დაბალია.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა შეასუსტა გაზეთმა „ტყიბულმა". აქ დაბეჭდილი მასალები უმეტესწილად ანგარიშებია — საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროსი და მართლწესრიგის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო საკოორდინაციო შტაბის სხდომისა.

უკეთესი მდგომარეობა არც ამბროლაურის რაიონულ გაზეთ „წითელ დროშაშია". მის ფურცლებზე აღნიშნულ პერიოდის მანძილზე გამოქვეყნებული მასალები სრულებითაც ვერ ასახავენ რაიონში არსებულ ვითარებას. პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა პელიაღლის კოლმეურნეობაში სერიოზული დარღვევების შესახებ, შემოსული წერილების შემოწმების შედეგებზე და კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობაში გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი. ასევე, სერიოზული ხასიათის დარღვევები იყო ბუგეულის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც პრინციპული შეფასება მისცა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა. ეს ფაქტი მხოლოდ პარტიის რაიონულ კომიტეტში განხილვის შემდეგ გახდა გაზეთის მსჯელობის საგანი.

ანალოგიური მდგომარეობაა ხონის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის მშენებელში", რომელშიც ხშირად პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომის ანგარიშებით ამჯობინებენ ხოლმე ფონს გასვლას. მუშაობის ამგვარი მეთოდი სხვა არა არის რა, თუ არა სხვის კალთას ამოფარების პოზიცია. ფაქტია, რომ მასალათა მოპოვების წყაროდ იქცა პარტიული კომიტეტების ბიუროების, აღმასკომებისა და ცალკეულ კომისიათა სხდომების ოქმები, ადმინისტრაციული ორგანოების სხვადასხვა ღონისძიებანი.

პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ღონისძიებათა გარდა, საქალაქო და რაიონული გაზეთები ფართოდ იყენებენ აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებათა სახალხო კონტროლიორების მიერ გამოვლენილ ფაქტებს და შემდეგ მკაცრად აკრიტიკებენ თვით ამ ორგანიზაციებს. მაგალითად, მომსახურების სფეროში არსებულ დარღვევებზე იმსჯელა წულუკიძის რაიონის შესაბამისმა უწყებამ, გააანალიზა გამოვლენილი ფაქტები, დასაჯა დამნაშავენი, დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რაიონულმა გაზეთმა „კომუნიზმის გზით" ეს გარემოება გამოიყენა მომსახურების სფეროს ადგილობრივი ორგანოების კრიტიკისათვის და გამოაქვეყნა სტატია „სანამ შეამოწმებდნენ, მანამ სად იყვნენ?" რასაკვირველია, რაიკოოპერატივისა და საზკვების შესაბამისი სამსახურების ვალია ფართო პროფილაქტიკური სამუშაოებს ახორციელებდნენ, და გაზეთმა შეიძლება მათ ეს შეახსენოს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი კრიტიკას არ იმსახურებდნენ, თანაც სარევიზიო ჯგუფების რეიდამდე გაზეთსაც შეეძლო ხელის გამოღება, ვაჭრობისა და კვების ობიექტების საქმიანობის გაცნობა, საჭირო დასკვნების გამოტანა, ესე იგი გაზეთების უმრავლესობა უარყოფით ფაქტსა და მოვლენას წინ კი არ უსწრებს, რათა თეორიული თუ მეთოდიკური ხასიათის წერილებით მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას ხელი შეუწყოს, არამედ უკან მისდევს მათ და მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება. ეს სარეცენზიო გაზეთების ზოგადი სენია, რაც აქვეითებს მათი გამოსვლების ქმედითობას. მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზის" 25 პუბლიკაციიდან ცხრას პარტიული, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეაგირება არ მოჰყოლია.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ გაზეთების ბრძოლის ეფექტიანობას აქვეითებს აგრეთვე ზერელობა, ფაქტების მიღმა მოვლენების დაუნახაობა. მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებები ფაქტებს, როგორც ვთქვით, ფოტოგრაფიულად აღნუსხავენ, გამოდიან ნეიტრალური ინფორმატორის როლში, ღრმად არ აანალიზებენ მომხდარს, არ ეძებენ ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესისათვის მიუღებელი გამოვლინებების გამომწვევ მიზეზებს, სწორად არ სახავენ ამ მიზეზების აღმოფხვრის გზებს. ასეა მაშინაც, როდესაც ფაქტზე კვალიფიციური სპეციალისტები — ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები მსჯელობენ. მაგალითად, სამმა კასპელმა ახალგაზრდამ ავტომანქანა გაიტაცა. გაზეთ „განთიადში" გამოქვეყნდა რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის წერილი „რამ გამოიწვია დანაშაული", რომელშიც ყველაფერი მარტივად სიმთვრალეს დაბრალდა... მსგავს მოვლენაზე თიანეთის რაიონულ გაზეთ „ახალ თიანეთში" შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე გამოვიდა და მანაც ვერ შეძლო ჩასწვდომოდა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, პარტიული პრინციპულობით ემსჯელა არა მარტო ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე, არამედ საერთოდ მოვლენაზე, რაც საფუძვლიანი დასკვნების გამოტანის საშუალებაც იქნებოდა და შორსგამიზნული ღონისძიებების დასახვისაც.

იმ გაზეთთა შორის, რომლებიც ძალზე მცირე რაოდენობის პრობლემურ მასალას აქვეყნებენ კერძომესაკუთრული ტენდენციების საკითხებზე, არის საქალაქო გაზეთი „ჭიათურის მაღაროელიც". ამ თემაზე პრობლემური წერილების ნაკლებობა გაზეთს ხელს უშლის აქტიური როლი შეასრულოს რეგიონში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში.

თემატური და ჟანრობრივი თვალსაზრისით შეზღუდულად აშუქებს აღნიშნულ პრობლემას ხულოს რაიონული გაზეთი „კოლექტიური შრომა", შუახევის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონული გაზეთები „დროშა", „ახალი მარნეული" და „სამგორი".

სარეცენზიო გაზეთების კიდევ ერთი ზოგადი ნაკლი არის ის, რომ უმრავლესობაში განსახილველ თემას, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათის მასალებით აშუქებენ, იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟანრის პუბლიკაციებიც ფორმითა და შინაარსით სრულყოფილი არ არის. ხშირად ამ მასალებს ერთ რომელიმე კონკრეტულ ჟანრს ვერც მივაკუთვნებთ. უფრო მეტიც, გაზეთებში არცთუ იშვიათად ჟანრებს ერთმანეთში ურევენ. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის რედაქცია ირწმუნება, რომ დროის მოცემულ პერიოდში თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა სხვადასხვა ჟანრის მასალები — „ფელეტონები, კორესპონდენციები, სტატიები"... სულ ცამეტი პუბლიკაცია. მაშინ, როდესაც ეს მასალები ჩვეულებრივი ინფორმაციებია და არაფერი აქვთ საერთო ზემოდასახელებულ ჟანრებთან, იმ ცამეტი მასალიდანაც ზოგიერთს (მაგალითად, შარშან 2 და 9 აგვისტოს გამოქვეყნებული „გადაუჭრელი პრობლემები", „უყაირათობის და მომჭირნეობის შედეგი") ასევე არავითარი კავშირი არა აქვს კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემასთან.

ინფორმაცია, სინამდვილის ასახვის ეს მშვენიერი ფორმა, როგორც ჟანრი, არ იძლევა საკითხის არსში ჩაღრმავების საშუალებას. ოჩამჩირის, ზნაურის, ხობის, ყაზბეგის, ჯავის, მაიაკოვსკის, წითელწყაროს, ქედის, ლენტეხის, ამბროლაურის, შუახევის, ადიგენის, ონის, თერჯოლის, სიღნაღისა და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთები ამიტომაც სათანადოდ ვერ აშუქებენ ამ საკითხს.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აღნიშნული გაზეთების რედაქციებს არ შესწევდეთ უნარი ჯეროვნად ასახონ საბჭოური ყოფის ანტიპოდური მოვლენები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იგივე თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის „ლენინური გზის" 1983 წლის 7 ივნისის პუბლიკაცია „შევინახოთ ფიჭვნარი", რომლის ავტორია რ. გიგაური. ეს არის კრიტიკული კორესპონდენცია, რომელშიც ღრმად, საკითხის ცოდნით არის განხილული ფიჭვის ტყეების მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების პრობლემა. მოხმობილია კონკრეტული ფაქტები. ავტორი მწვავედ სვამს პრობლემას, დაუნდობლად აკრიტიკებს დამნაშავეებს, მსჯელობს, ობიექტურად აანალიზებს ვითარებას და მიმართავს კონკრეტულ ორგანიზაციებს, რომელთაც ევალებათ ფიჭვნარის გადარჩენა. ყოველივე ამის შედეგად წერილმა პოვა გამოხმაურება. იგი განიხილა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის ბიურომ, შეისწავლა სატყეო მეურნეობამ, განხორციელდა ღონისძიებანი. ფიჭვნარს დაუბრუნეს ანგარებით მიტაცებული ნაკვეთები, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს დამნაშავეებს და ა. შ. ერთი სიტყვით, კარგ პუბლიკაციას სათანადო ეფექტიც მოჰყვა. საილუსტრაციოდ ამ წერილის მაგალითიდან ჩანს, რომ მონდომებას, საქმის სიყვარულს ბევრი რამ შეუძლია.

ზემოთ დასახელებული რაიონული გაზეთების ფურცლებზე ვხვდებით იმგვარ პუბლიკაციებსაც, რომლებიც იმედიანი მომავლის რწმენას გვინერგავს. მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია, რომლებიც წესისამებრ, ამინდს არ ქმნიან. ამიტომ საქალაქო და რაიონული გაზეთების ვალია სისტემატურად მიმართონ მტკივნეულ თემებს, პარტიის მოთხოვნათა დონეზე გააზრონ, გააანალიზონ, იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანი რაკურსით წარმოადგინონ არსებული ვითარება და ასევე გამართული ენითა და საინტერესო ფორმით მიაწოდონ მკითხველებს.

ჩვენ წინაშე არსებულ უამრავ მასალაში იშვიათია ისეთი, რომელშიც აღნიშნული თემა სრულყოფილად იშლებოდეს. მთავარი ნაკლი ამ წერილებისა ის არის, რომ მათში უკვე მომხდარი უარყოფითი ფაქტის დაწვრილებითი აღწერაა. ამდენად, ნაკლებია შესაბამისი ნეგატიური მოვლენის საზიანო შედეგების განსჯა-განზოგადებანი. არ არის ნაჩვენები, თუ როგორ აკნინებს და აღარიბებს პიროვნებას სულიერად კერძომესაკუთრული მისწრაფებები, როგორ ძარცვავს მას არა მარტო პატრიოტული გრძნობებისაგან, არამედ, საერთოდ, ზოგადადამიანური იდეალებისაგანაც.

ასევე ნაკლებია აღნიშნულ გაზეთებში კომპეტენტური ავტორების თეორიული და მეთოდიკური ხასიათის წერილები კერძომესაკუთრული ტენდენციების ანტისაზოგადოებრივი არსის შესახებ, რომლებშიც მეცნიერულად იქნებოდა გააზრებული ამ მოვლენის წარმოშობის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე მიღებულ დადგენილებაში საუბარი იყო დაკრძალვის მისტიფიცირებული ფაქტების შესახებაც, რასაც თან სდევს თეატრალიზებული ექსცესები, ღრეობად გადაქცეული ქელეხები. მიცვალებულის ხსოვნის ღრმა ადამიანური პატივისცემის ნაცვლად, სამგლოვიარო რიტუალიც კი — ეს უწმინდესი აქტი — ცალკეული უსინდისო ადამიანის შემოსავლის წყაროდ იქცა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაზეთებმა აშკარად მოადუნეს ყურადღება ამ ანომალიებისადმი.

უნდა გადაილახოს თემატური შეზღუდულობის ბარიერები. უფრო ხშირად უნდა იწერებოდეს საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე რეპეტიტორობის, პროტექციონიზმის, ბიუროკრატიზმის, ექიმთა კერძო პრაქტიკის, კერძო ხელოსნობის, ავადმყოფთაგან ფულის გამოძალვის ფაქტებზე და სხვ.

ელემენტარული ლოგიკაა: იქ, სადაც საქმის ღრმა ცოდნით ხელმძღვანელობენ, საქმეც კარგად მიდის. დიახ, არა ფორმალური, არამედ საქმიანი, სწორი პრინციპული ხელმძღვანელობა ზრდის ჟურნალისტთა პასუხისმგებლობას, რედაქციებში ქმნის მუშაობის სასიამოვნო ატმოსფეროს. ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან აამაღლონ ამ ასპექტით თავიანთი გაზეთებისადმი ხელმძღვანელობის დონე, უნარიანად წარმართონ მათი საქმიანობა, აქტიურად დაუჭირონ მხარი პროფილაქტიკურ, მამხილებელ, ანალიტიკურ პუბლიკაციებს, საჭიროა ვაჩვენოთ, თუ რა ზიანს აყენებს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მთელი სისრულით უნდა გამოიყენონ პრესის ორგანიზატორული, აღმზრდელობითი როლი, სარედაქციო კოლექტივთა ყურადღება მიაპყრონ გაზეთების გამოსვლების ქმედითობის გაძლიერებას, შექმნან შეურიგებლობის ატმოსფერო ბიუროკრატიზმისა და უპასუხისმგებლობის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის არიდების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების ფაქტებისადმი — თავიანთი ხასიათით ამ ანტისოციალისტური მოვლენებისადმი.

ამ მიმართულებით უკანასკნელი თორმეტი წლის მანძილზე საქართველოს პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უმდიდრესი გამოცდილება შეიძინეს. სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით საქალაქო და რაიონული პრესის მუშაკებმა მეტი დაბეჯითებითა და პრინციპულობით უნდა იბრძოლონ ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ. არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ „კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ვერავითარ კომპრომისს, ვერავითარ პასიურობას ვერ შეურიგდება".

ხელმძღვანელი კადრების სწავლება

დამთავრდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელ კადრთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა. რესპუბლიკის მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეები, უწყებათა ხელმძღვანელები სწავლობდნენ სახალხო მეურნეობის მართვის, დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებს, ახორციელებდნენ მართვის ობიექტების სისტემურ ანალიზსა და მოდელირებას.

მეცადინეობის დაწყების წინ გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორი ა. ი. სიდოროვი.

სწავლის დროს მსმენელებს წაუკითხეს ლექციები და მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, კომუნისტური მშენებლობის, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის აქტუალურ საკითხებზე.

სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო შრომითი, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების, დისციპლინის შემდგომი განმტკიცების პრობლემებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

გაიმართა სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობა, საუბრები „მრგვალ მაგიდასთან", „საქმიანი თამაშები" ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამოყენებით.

სწავლის დროს მსმენელებს ლექციები და მოხსენებები წაუკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჩითანავამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ა. პ. საყვარელიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგემ ბ. ზ. ბარსუკოვმა, სხვა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, მეცნიერებმა.

სწავლების ციკლი დამთავრდა მსმენელთა მიერ სადიპლომო ნამუშევრების დაცვით. ზოგიერთი მათი რეკომენდაცია პრაქტიკაში დაინერგება.

◆

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია

გაიმართა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა გ. პ. ემირიძე სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი რ. პ. დოლიძე, რომელიც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე.

◆

ჟურნალისტები ტყვარჩელში

1 ნოემბრიდან საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირი" მემაღაროეთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადავიდა, რაც საშუალოდ ერთისამად გაზრდის მათს შემოსავალს. სამთო მრეწველობის მუშაკებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ასახავს მემაღაროეთა ქალაქების ტყვარჩელისა და ტყიბულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდი პროგრამაც.

ტყვარჩელში, კერძოდ, გათვალისწინებულია მემაღაროეთა საბინაო პირობების, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. ეს და სხვა ფაქტები აღნუსხეს გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას" და პრესის სხვა ორგანოების ჟურნალისტებმა, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის კომკავშირის პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად იყვნენ ტყვარჩელში, სადაც გაეცნენ 1990 წლამდე ქალაქის განვითარების პერსპექტივებს.

ეს მოგზაურობა მოაწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, რომლის ინიციატივით რესპუბლიკის იდეოლოგიურმა მუშაკებმა შეფობა იკისრეს დარგის მშრომელებისადმი. (საქინფორმი).

საქართველოს მშრომელები ხმას აძლევენ მშვიდობას

— **საქართველოს** მშრომლებმა განიარაღებისათვის მოძრაობის კვირეულის განმავლობაში საბჭოთა ხალხთან ერთად კვლავ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი სიცოცხლის უფლება და მშვიდობა, — თქვა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ნ. გუგუშვილმა. — კვირეული არასდროს არ მოწყობილა ასეთ დაძაბულ და საშიშ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ამერიკის იმპერიალიზმის მიზეზით. საქართველოს 800 ათასზე მეტმა მშვიდობის მომხრემ გულისწყრომით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული პოლიტიკა.

750 მიტინგი გაიმართა რესპუბლიკის უდიდეს საწარმოებში. მშვიდობის ვახტზე დადგნენ საქართველოს სს რესპუბლიკის 640 საწარმოსა და ორგანიზაციის მშრომელები. ვახტის დღეებში გამომუშავებული სახსრები გადაირიცხება საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდში. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაკებმაც გადაწყვიტეს ამ ფონდში გადარიცხონ დღიური გამომუშავება.

მშვიდობისათვის მოძრაობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა სპორტსმენებმა. საბჭოთა ხალხის მოთხოვნას, აილაგმოს დაუოკებელი გამალებული შეიარაღება, თავიანთი ხმა შეუერთეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმაც. კვირეულის დროს 300-მდე თემატური საღამო მოაწყო საზოგადოება „ცოდნამ".

თბილისში გამართულმა საერთო-საქალაქო მიტინგმა ცხადყო, რომ ქალაქის მშრომლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან ბირთვული კატასტროფა, იბრძოლონ პლანეტაზე მშვიდობიანი ცისათვის. (საქინფორმი).

ნოდარ დუმბაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება. გადაწყდა მწერლის სახელი მიენიჭოს თბილისში პიონერულ ქალაქ „მზიურს", სადაც დაკრძალულია მწერალი.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლას მისი სახელი მიენიჭება.

საქართველოს მწერალთა კავშირი და საქართველოს სსრ გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი გამოსაცემად მოამზადებენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც თავს გამოიჩენენ სწავლაში, წესდება მწერლის სახელობის ერთი სტიპენდია.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი შექმნის დოკუმენტურ ფილმს ნოდარ დუმბაძის შესახებ და მხატვრულ ფილმს მისი ნაწარმოებების მოტივებზე.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი ნოდარ დუმბაძის სახელი მიენიჭოს ერთ-ერთ გემს, რომელიც განკუთვნილია საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაავალა კეთილმოაწყოს მწერლის საფლავი პიონერთა ქალაქ „მზიურში", ნოდარ დუმბაძის სახელი მიანიჭოს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. იმ სახლის ფასადზე, რომელშიც ცხოვრობდა მწერალი, დაიდგმება მემორიალური დაფა. (საქინფორმი).

ფიზიკოსთა საკავშირო თბილისური სკოლის შემდეგ

„საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები მეგობრულად მუშაობენ"

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 8-17 ოქტომბერს თელავში მუშაობდა პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული სინთეზის IX საკავშირო თბილისური სკოლა, რომლის მსმენელები აღნიშნული დარგების პრობლემათა ირგვლივ ახალი გამოკვლევების მთელ წყებას გაეცნენ.

თელავში ამ დარგების ცნობილ სპეციალისტთა შეკრება იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ საქართველოში წარმატებით იკვლევენ პლაზმის ფიზიკის აქტუალურ საკითხებს.

თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა ათი დღით პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული სინთეზის IX საკავშირო თბილისური სკოლისათვის იყო დათმობილი. ბოლო სხდომას ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი რ. საგდეევი თავმჯდომარეობდა. შეკრება ლენინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ბ. კადომცევის პლენარული მოხსენებით გაიხსნა, ასეთივე მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისელი ფიზიკოსები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. ლომინაძე და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ცინცაძე, ხოლო დასკვნითი მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ჰ. ფიურტმა წაიკითხა.

დისკუსიის დამთავრებისთანავე სხდომის მონაწილეებს გაზეთ „კომუნისტისათვის" ინტერვიუ ვთხოვეთ.

გვესაუბრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი როალდ საგდეევი:

— პლაზმის ფიზიკის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა მართვადი თერმობირთვული რეაქციის განხორციელების პრობლემამ. ამ ისტორიული მიზეზის ძალით, თუმცა პლაზმის ფიზიკის გამოყენებისათვის სულ ახალ-ახალი სფეროები ჩნდება, პლაზმით დაკავებული ყველა ფიზიკოსი თავისი ალმა მატერის — თერმობირთვული პრობლემის გარშემო ჯგუფდება.

ჩვენს სკოლაში ამ პრობლემის შესახებ არაერთი მოხსენება მოვისმინეთ: საბჭოური თერმობირთვული პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, აკადემიკოს კადომცევისა; აშშ-ში თერმობირთვული პროგრამის ლიდერის, პროფესორ ფიურტისა; დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთივე პროგრამის წარმომადგენლის, პროფესორ დიუქსისა. ამ მოხსენებებში ნათლად აისახა თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევის მდგომარეობა თერმობირთვული პრობლემის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მიმართულებით. იგულისხმება ეგრეთ წოდებული „ტოკამაკების" მიმართულება, რომელთა იდეა საბჭოთა მეცნიერებს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მიღწეული წარმატებები მეტწილად იმიტომ გახდა შესაძლო, რომ თერმობირთვული ენერგეტიკა საერთაშორისო თანამშრომლობის საგნად იქცა უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. აღნიშნულ გარემოებას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ახლახან მოსკოვსა და ბოსტონს შორის „გადებულ" ტელეხიდზე, რომელმაც რეალურ დროში დააკავშირა რამდენიმე საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერი (ტელეხიდი მოსკოვი-კოსმოსი-ბოსტონი საკავშირო ტელევიზიით გადაიცა 23 ოქტომბერს — რედ.). დისკუსიაში ბოსტონიდან სწორედ ჩვენი პატივცემული სტუმარი, პროფესორი ფიურტიც მონაწილეობდა.

გვესაუბრება პრინსტონის უნივერსიტეტის პლაზმის ფიზიკის ლაბორატორიის გამგე, ამერიკის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჰაროლდ ფიურტი:

— პლაზმის ფიზიკის დარგი, რომელსაც მე წარმოვადგენ, ეს არის მართვადი თერმობირთვული სინთეზი.

ფაქტობრივად ჩვენ ვმუშაობთ საბჭოელ მეცნიერთა გამოგონებაზე — დიდ „ტოკამაკებზე". ვიმედოვნებთ, რომ 1986 წელს ასეთი დანადგარების დახმარებით მივიღებთ ნამდვილ ბირთვულ სინთეზს — 200 მილიონ გრადუს ტემპერატურას. ექსპერიმენტები ტარდება დეიტერიუმით (მძიმე წყალბადი), შედეგის მიღების შემდეგ მივმართავთ ტრიტიუმს (ზემძიმე წყალბადი), ხოლო 1988 წლისათვის გადავალთ დეიტერიუმ-ტრიტიუმის ნარევზე;

ძალიან გვაინტერესებს აგრეთვე კოსმოსური პლაზმის საკითხები, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, დოქტორ საგდეევის შემოქმედებითი მუშაობის სფეროს წარმოადგენს.

საქართველოში არაერთი ჩინებული ნაშრომი შესრულდა პლაზმის ფიზიკაში, კერძოდ, კოსმოსურ პლაზმაში. საკმარისია მოვიხსენიოთ დოქტორების ლომინაძისა და ცინცაძის სახელები.

ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ გვაინტერესებდა თქვენს რესპუბლიკაში ჩამოსვლა და ქართველ ფიზიკოსთა ახალი მიღწევების გაცნობა. ამ სკოლის მნიშვნელობას იმაშიც ვხედავ, რომ აქ სხვადასხვა ქვეყნიდან შევიკრიბეთ პლაზმის ფიზიკის ბევრი დარგის სპეციალისტები და ერთმანეთის შედეგებს ვეცნობით.

მოხარული ვიქნები, თუ კვლავ მომეცემა შესაძლებლობა გესტუმროთ!

გვესაუბრება კალიფორნიის ირვაინის უნივერსიტეტის პროფესორი გრეგორი ბენფორდი:

— მართვადი თერმობირთვული სინთეზის პრობლემა ახლო მომავალში გადაწყდება. პლაზმის ფიზიკა კიდევ უფრო მეტ გამოყენებას ჰპოვებს მიკროტალღების გენერაციაში, ლაზერების ტექნიკაში.

ეს თბილისური სკოლა მაღალი დონისაა. მკაფიო შთაბეჭდილება დამიტოვა საბჭოურმა თეორიულმა გამოკვლევებმა საკითხების სიფართოვითაც და სიღრმითაც, მეტადრე ჩემს დარგში — ძლიერ პლაზმურ ტურბულენტობაში.

თბილისში მომუშავე ლომინაძის ჯგუფი საკმაოდ წინ წავიდა პულსართა ფიზიკის დარგში. ამ ბოლო წლებში ლომინაძემ და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს პულსართა გამოსხივების ახალი მოდელი, რომელიც, ჩემი შეხედულებით, მშვენიერია. ისინი შეუდგნენ რამდენიმე საკვანძო საკითხის გადაწყვეტას, რომლებიც კარგა ხანია პულსართა ფიზიკის წინაშე დგას.

...დასასრულ გრეგორი ბენფორდმა ჩაგვიწერა: „მივესალმები წარმატებულ შეხვედრას თელავში და მადლობას ვწირავ სოციალისტური სტუმართმოყვარეობისათვის ქართველებს — არაჩვეულებრივ ხალხს".

თ. ებანოიძე.
გ. ჩიმაკაძე.

2 ნოემბერი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საქდესი იუწყება

იშვა თანამეგობრობით

ინტეგრაციის ახალი საფეხურები

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 39-ე სხდომის შედეგების გამო

ეკონომიკის დაჩქარებული გადაყვანა ინტენსიურ გზაზე, საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდება, საექსპორტო პოტენციალის განვითარება, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა საწარმოო ძალების უფრო რაციონალური განლაგება — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობის ეს და სხვა საკვანძო მიმართულებები საფუძვლად დაედო თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო ურთიერთმოქმედების გაღრმავებას. საბჭოს უმაღლესმა ორგანომ — მისმა სესიამ ეს-ესაა ჰავანაში გამართულ 39-ე სხდომაზე განსაზღვრა თანამშრომლობის გაღრმავების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების უფრო ეფექტიანი გამოყენების პრაქტიკული ღონისძიებანი.

სესიამ შეაჯამა მიმდინარე წლის ზაფხულში მოსკოვში გამართული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის შემდეგ საბჭოს საქმიანობის პირველი შედეგები. თათბირზე გადაწყდა გადადგას ახალი ნაბიჯი თანამშრომლობასთან დაკავშირებულ დარგებში მოძმე სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების გაღრმავების გზაზე. მისმა მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა ასეთი თანამშრომლობის ახალ დონეზე ასაყვანად.

განაზოგადეს რა ბოლო ხნის საქმიანობის შედეგები, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა ჰავანის სესიაზე აღნიშნეს, რომ თანამეგობრობის სახელმწიფოებმა უდავო წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მთავარია ის, რომ არსებითად დაჩქარდა ზრდის ტემპი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, გადიდდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. მაგალითად, საბჭოთა კავშირში სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატება 1983-1984 წლებში ოთხ პროცენტზე მეტს შეადგენს. შევახსენებთ, რომ ხუთწლედის პირველ წლებში იგი სამ პროცენტს უდრიდა. ისევე როგორც თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში, სამრეწველო პროდუქციის მატების ძირითადი ნაწილი მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით შესამჩნევი წინსვლა სესიის სხდომაზე მიიჩნიეს იმის დიდმნიშვნელოვან წანამძღვრად, რომ სოციალიზმის სამსახურში ჩააყენონ ურთიერთთანამშრომლობის გაფართოების ახალი მნიშვნელოვანი რეზერვები. სწორედ ამას ითვალისწინებენ მოსკოვის თათბირის დებულებები, რომელზეც კოლექტიურად შეიმუშავეს გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგია. სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთმოქმედების გაღრმავების ერთი მაგისტრალური გზაა სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, რომლის მიმდინარეობა განიხილეს ჰავანის სხდომაზე. კოორდინაცია, როგორც აღინიშნა, ამდიდრებს ერთობლივი საგეგმო საქმიანობის შინაარსს, აფართოებს თანამშრომლობის მასშტაბს. ძირითადად პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამიზნული, იგი ხდება მოძმე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების მთავარი ინსტრუმენტი.

სესიის მონაწილეებმა მოიყვანეს განვითარების ეროვნული გეგმებისა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების მჭიდრო დაკავშირების კონკრეტული მაგალითები. კერძოდ, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში, რომლებიც მუშავდება სკკპ XXVII ყრილობის მზადების დროს, აისახება ეკონომიკური თათბირის დებულებანი შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების შესაძლებლობათა უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ.

ჩვენი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ იმით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია მიზნად უნდა ისახავდეს თანამშრომლობის პრიორიტეტულ ამოცანათა გადაწყვეტას. მათ რიცხვს განეკუთვნება პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა და დანერგვა ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა, რობოტტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, ატომური ენერგეტიკა, ბიოტექნოლოგია, მიკროპროცესორული ტექნიკა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათბობ-ნედლეულის პრობლემის გადაჭრას. აქ გზები მკაფიოდ დაისახა ეკონომიკურ თათბირზე — საკუთარი რესურსების თავმოყრა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება. ამისათვის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებმა უნდა განახორციელონ იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ენერგომატარებლებისა, ნედლეულის მომჭირნე და რაციონალურ გამოყენებასთან, წარმოების ენერგო- და მასალატევადობის შემცირებასთან. უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, თანამედროვე მანქანები და მოწყობილობა, დაიხვეწოს წარმოების სტრუქტურა და ნედლეულის, ენერგომატარებლების მოხმარება.

ასეთი ამოცანის აქტუალობის გათვალისწინებით, ჰავანის სესიამ მიიღო კონკრეტული საპროგრამო დოკუმენტი ამ დარგში — გრძელვადიანი კომპლექსური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ენერგიაზე, სათბობსა და ნედლეულზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების რაციონალური მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა 1990 წლამდე პერიოდისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ისინი მოიცავენ ისეთ დარგებში თანამშრომლობის განვითარება-გაღრმავების მრავალ ასპექტს, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის მრეწველობა, მეტალურგია, ქიმიური ინდუსტრია, მანქანათმშენებლობა, გეოლოგია. ღონისძიებანი ითვალისწინებენ აგრეთვე მატერიალურ-სანედლეულო რესურსების გამოყენებას.

ეს თანამშრომლობის მეტად დიდმნიშვნელოვანი და, ასე ვთქვათ, მრავალისმომცველი სფეროა. მის მასშტაბზე მეტყველია ვიმსჯელოთ, კერძოდ, იმის მიხედვით, რომ 1983 წელს ცენტრალური სადისპეტჩერო მართვის მონაწილე ქვეყნების (სსრ კავშირში — სამხრეთის გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა) ელექტროენერგიის მთლიანმა გამომუშავებამ 703,3 მილიარდ კილოვატს მიაღწია. ეს წინა წელთან შედარებით 3,1 პროცენტით მეტია. წლის მანძილზე ელექტროენერგიის ურთიერთმიწოდების მოცულობა 8,4 პროცენტით გაიზარდა. სოლიდურ ხვედრით წონას იძენს ატომური ენერგეტიკა: 1983 წლის დამლევისათვის აქ ელექტრობის მთლიანი გამომუშავება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სსრ კავშირში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიუახლოვდა 142 მილიარდ კილოვატ-საათს. ეს უდრის 47 მილიონ ტონაზე მეტი პირობითი სათბობის დაზოგვას.

ასეთი მასშტაბის პირობებში მატულობს იმ რეზერვების მნიშვნელობა, რომლებსაც საერთო ინტერესებისათვის პოულობს განვითარებადი თანამშრომლობა. აი ნიშანდობლივი მაგალითი: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების შავ მეტალურგიაში მეორეული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსი ყოველწლიურად 60 მილიონ ტონაზე მეტი პირობითი სათბობის დაზოგვის საშუალებას იძლევა.

საინტეგრაციო ობიექტების რიგაზე ჩნდება მეგობრობის ახალი მშენებლობები — კრივოი როგის 13 მილიონი ტონა რკინის მადნის გუნდების სიმძლავრის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი, იამბურგ — სსრ კავშირის დასავლეთი საზღვრის მაგისტრალური გაზსადენი, კასპიისპირა დაბლობის ნავთობ-გაზის საბადო, ნიკელის ქარხანა კუბის პუნტა-გორდის საბადოს ბაზაზე და ბევრი სხვა.

ძმური თანამშრომლობა ვითარდება, ძალას იკრებს და ჩვენი დღეების მძლავრი ობიექტური რეალობა ხდება. (საქდესი).

● ალჟირი

შეხვედრა დელეგაციების მეთაურებთან

ალჟირი. ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი შადლი ბენჯედიდი შეხვდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ალჟირელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის დაწყების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულობაში მონაწილეობის მისაღებად ალჟირში ჩამოსული საზღვარგარეთის დელეგაციების მეთაურებს.

შეხვედრის დროს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა შ. ბენჯედიდს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს [illegible] ეროვნული დღესასწაულის გამო.

[illegible] საბჭოთა სამხედრო დელეგაცია სსრ კავშირის საჰაერო თავდაცვის ჯარების მთავარსარდლის — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ავიაციის მთავარი მარშლის ა. ი. კოლდუნოვის მეთაურობით.

● სსრ კავშირ-ნეპალი

მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად

კატმანდუ. საბჭოთა კავშირ-ნეპალის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას დაუჭირა მხარი ნეპალის პრემიერ-მინისტრმა ლოკენდრა ბაჰადურ ჩანდმა.

დარბაზობა გაუმართეს სსრ კავშირის დღეებში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოსულ მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციას, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი მეთაურობს. დარბაზობაზე პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაიხადა დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ნეპალს ეროვნული ეკონომიკის საკვანძო ობიექტების მშენებლობაში. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ საბჭოთა კავშირ-ნეპალის თანამშრომლობას და მხარს ვუჭერთ მის შემდგომ განმტკიცებას, ხაზგასმით აღნიშნა მან.

ლ. ბ. ჩანდმა საბჭოთა ხალხს მიულოცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავის დღესასწაული.

საბჭოთა დელეგაცია მიიღო აგრეთვე ეროვნული პანჩაიატის (პარლამენტის) თავმჯდომარემ მარიჩ მან სინგჰმა. საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში საბჭოთა და ნეპალის პარლამენტარების მონაწილეობის შესახებ.

პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარი

ვარშავა. კათოლიკე ქსენძის ე. პოპელუშკოს მოტაცებისა და მკვლელობასთან დაკავშირებით პოლონეთის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა კომენტარი სათაურით „პროვოკაციის წინააღმდეგ", რომელშიც ნათქვამია:

პოლონეთი არ შეიძლება გახდეს და არც გახდება პოლიტიკური ბანდიტიზმის თავშესაფარი.

მკვლელობის ჩამდენი იპოვეს, და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

მაგრამ, ნათქვამია კომენტარში, უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ ტრაგედია, კომპენსაცია მიიღონ თავიანთი პოლიტიკური მარცხისათვის. ნათელია, თუ ვინ ნახულობს სარგებელს აქედან და ვინ როგორ მიზნებს ისახავს. საქმე ეხება სიმშვიდის დარღვევას პოლონეთში, პოლონეთისა და დასავლეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის დაწყების ჩაფუშვას, იმას, რომ ყოველნაირი საშუალებით ერთმანეთს წაჰკიდონ სახელმწიფო და ეკლესია და პროვოკაციულად გამოიწვიონ კონფლიქტი.

ქსენძ პოპელუშკოს მკვლელობა, ნათქვამია შემდეგ კომენტარში, პოლიტიკური პროვოკაციაა. ასეთი პროვოკაციები სახიფათოა, რადგან შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ კონფლიქტები და შეტაკებები, სიმშვიდის დარღვევა პოლონეთში.

ხელისუფლების ორგანოები, ხაზგასმულია კომენტარში, ქვეყანას სიმშვიდის გარანტიას აძლევენ.

● აშშ

პროპაგანდისტული მიზნებით

ვაშინგტონი. თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გადაწყვიტა შეუერთდეს ეთიოპიის მშიერი მოსახლეობისათვის სასურსათო დახმარების გაწევის კამპანიას, რომელიც ამერიკის ქველმოქმედმა ორგანიზაციებმა დაიწყეს. ამასთან დაკავშირებით წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, დემოკრატმა ტ. ონილმა რ. რეიგანს ბრალად დასდო, რომ სწორედ მან გამოიჩინა გულგრილობა აფრიკელთა გაჭირვებისადმი, როცა კონგრესში ცოტა ხნის წინათ ხელი შეუშალა ასეთი დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და მოითხოვა იმავდროულად კონგრესს მიეღო გადაწყვეტილება ნიკარაგუის სანდინისტური მთავრობის წინააღმდეგ მოქმედი კონტრრევოლუციონერებისათვის სახსრების ასიგნების სასარგებლოდ.

ონილმა განაცხადა, რომ ამ დაკავშირებაზე კონგრესმა უარი თქვა. შესაბამისად რეიგანის მიზეზით ჰაერში გამოეკიდა ეთიოპიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის საკითხი. ახლა გასული რიცხვით რეიგანი პროპაგანდისტული მიზნებით ცდილობს ქველმოქმედის პოზა მიიღოს.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ცდილობს ეთიოპიის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის გამოიყენოს დახმარება, რომელსაც ეთიოპიას უწევენ ამერიკის ქველმოქმედი ორგანიზაციები.

● ავსტრია

ძეგლი — ანტიფაშისტებს

ვენა. ცვენტენდორფ-ან-დერ-დონაუში (ქვემო ავსტრია) გაიხსნა ავსტრიელი ანტიფაშისტების წინააღმდეგობის იატაკქვეშა ჯგუფის მონაწილეების ძეგლი. ამ ორგანიზაციის წევრები, რომელთა შორის იყვნენ კომუნისტები, სოციალისტები, უპარტიოები, მხეცურად დახოცეს ესესელებმა 1945 წლის აპრილის ბოლო დღეებში მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში.

ძეგლის გახსნის ცერემონიაზე გამოსულებმა განაცხადეს, რომ ხალხებს უნდა ახსოვდეთ წინააღმდეგობის ჯგუფების გმირული ბრძოლა, ჯგუფებისა, რომლებშიც შედიოდნენ რუსები და იუგოსლავები, პოლონელები და ფრანგები, ავსტრიელები, იტალიელები, ესპანელები. ორატორებმა მოითხოვეს, რომ შეწყდეს ავსტრიაში ნეოფაშისტური დაჯგუფებების პროვოკაციული საქმიანობა და აღნიშნეს, რომ საჭიროა თანამიმდევრულად ებრძოლონ ნეონაციზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ფოტოფაქტი

STRASSE GEGEN ATOM

● დასავლეთ ბერლინი

აილაგმოს ბირთვული შეიარაღება!

დასავლეთ ბერლინში ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო აჩაღებენ. მრავალრიცხოვანი მიტინგებისა და მანიფესტაციების მონაწილენი გადაჭრით მოითხოვენ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში პირველი დარტყმის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შეწყვეტას.

სურათზე: „ქუჩა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ!" — ასეთი ლოზუნგით მოაწყვეს დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთი ქუჩის მცხოვრებლებმა მშვიდობის მასობრივი ფესტივალი.

ნიკარაგუა: ვაშინგტონის გეგმები ჩაიფუშა

მანაგუა. ჩაიფუშა ვაშინგტონის ცდები ჩაეშალა მომავალი საყოველთაო არჩევნები ნიკარაგუაში. რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო საბჭოში რეგისტრირებული ყველა პარტია მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა ლიბერალურმა პარტიამ, აგრეთვე კონსერვატორთა დემოკრატიულმა პარტიამ საბოლოოდ გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საარჩევნო პროცესს.

სრულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული საკოორდინაციო კომისიისა" და კერძო მეწარმეთა უმაღლესი საბჭოს ირგვლივ დაჯგუფებული მემარჯვენე ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს. ეს კვლავ დადასტურდა 31 ოქტომბერს დაწყებული ეროვნული დიალოგის დროს, რომელიც მოაწყვეს არჩევნებში მონაწილე შვიდი პოლიტიკური პარტიის ინიციატივით და რომლებსაც მხარი დაუჭირა ნიკარაგუის მთავრობამ. შეხვედრაზე დაგმეს მემარჯვენე ბურჟუაზიული ძალების მისწრაფება მისი მუშაობა შემოეფარგლათ ძირითადად არჩევნების გადავადების შესახებ მოთხოვნებით. ნიკარაგუის რეაქციული წრეები, განაცხადა ამასთან დაკავშირებით ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ კარლოს ნუნიესმა, ცდილობენ დიალოგის ბოიკოტირებას. ისინი კვლავ ამაოდ ესწრაფვიან ჩაშალონ არჩევნები და ამგვარად დაარწმუნონ საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომ ნიკარაგუის საშინაო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია უხეშად ერევა ნიკარაგუის საშინაო საქმეებში, ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ხელი შეუშალოს კონსენსუსის მოწყობას. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, მანაგუაში მყოფი ამერიკელი დიპლომატები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ზეგავლენას ახდენენ ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელებზე, რათა აიძულონ ისინი ბოიკოტი გამოუცხადონ საარჩევნო კამპანიას.

ვაშინგტონის გააფთრება გამოიწვია სამი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილებამ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, წერს გაზეთი. ამ პარტიების ხელმძღვანელებმა უგულებელყვეს ვაშინგტონის მტკიცებანი, თითქოს კონსენსუსის პროცედურა სრულყოფილი არ იყოს და ამ კონსენსუსის შედეგად ვერ მიაღწევენ „თანხმობას" ნიკარაგუაში. რეიგანის ადმინისტრაციის ამგვარი მოქმედება, მიმომხილველთა აზრით, საერთაშორისო სამართლის ნორმების და თვით ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

უკანასკნელ საათს

მოლაპარაკება ბიქფაიაში

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქის გარეუბან ბიქფაიაში მიმდინარეობს სირიის ვიცე-პრეზიდენტის აბდელ ჰალიმ ხადამისა და ლიბანის პრეზიდენტის ამინ ჟმაიელის მოლაპარაკება. განიხილავენ ლიბანისა და ახლო აღმოსავლეთის ვითარებას, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში სირიის ვიცე-პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ეროვნული ერთიანობის მთავრობის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების პოლიტიკური გზით გადაწყვეტას.

მაღაროელთა პროფკავშირის გადაწყვეტილება

ლონდონი. მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს რიგგარეშე ეროვნული კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება შეიმუშაოს ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის გაგრძელების ეფექტიანი საშუალებები. ეს რომ გამოაცხადა, პროფკავშირის თავმჯდომარემ არტურ სკარგილმა თქვა, რომ მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის დელეგატთა შეხვედრა გაიმართება შეფილდში 5 ნოემბერს.

აპირებენ ახალი იარაღის გამოცდას

ოტავა. ახალი სახეობის ამერიკულ იარაღს გამოცდიან კანადის ტერიტორიაზე, რომელსაც პენტაგონი თავის პოლიგონად აქცევს. გაზეთ „ტორონტო სტარის" ცნობით, ფრთოსანი რაკეტების გარდა, ვაშინგტონი აპირებს გაისად კანადაში გამოსცადოს კიდევ ექვსი სახეობის იარაღი, მათ შორის ლაზერული დამიზნების სავიაციო ბომბები და თვითმფრინავიდან გადმოსაგდები ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები. პენტაგონმა უკვე გაგზავნა კანადის ეროვნული თავდაცვის სამინისტროში შესაბამისი განაცხადი.

მოკლედ
ტელეტაიპის ლენტიდან

ბანდიტური თავდასხმა

ნიუ-იორკი. ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს რასისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეიარაღებულმა არამზადების ჯგუფმა თავს დაესხა ქალაქ ფრანკლინის (ტენესის შტატი) ზანგთა უბანს და რევოლვერების სროლა ატეხა შემთხვევით გამვლელთა. დაიჭრა ცხრა კაცი. ბანდიტურმა თავდასხმამ ზანგი მოსახლეობის სტიქიური პროტესტი გამოიწვია. ხელისუფლებმა ქალაქში კომენდანტის საათი შემოიღეს. ფრანკლინში გადაჰყავთ დამატებითი საპოლიციო ქვედანაყოფები.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

რასისტთა რეპრესიები

მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან მიღებული ცნობების თანახმად, არმიისა და პოლიციის პატრულები განაგრძობენ იოჰანესბურგისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვა უდიდესი ქალაქების აფრიკელთა გარეუბნების ჩხრეკას. რასისტი „წესრიგის დამცველები" მხეცურად ხოცავენ გამვლელებს, სახლში უვარდებიან აფრიკელებს.

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებიან აფრიკელებს სებოკენგში, შარპევილში, ბოიპატონგში, თემბისასა და იოჰანესბურგის სხვა გარეუბნებში. დემონსტრანტების გასარეკად არმიისა და პოლიციის ქვედანაყოფები იყენებენ პლასტიკურ ტყვიებს, ცრემლსადენ გაზს და ელექტროშოკის ხელკეტებს. ასეთი „დაშოშმინების" შედეგად, როგორც ცინიკურად უწოდებენ მსგავს მოქმედებას პრეტორიაში, დაიღუპა რამდენიმე, მძიმედ დაიჭრა ათობით კაცი.

მარტო უკანასკნელ ხანს რასისტი ხელისუფლების რეპრესიების შედეგად, ნათქვამია სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის განცხადებაში, ასობით აფრიკელი ჩასვეს საპყრობილეში და მძიმედ დაჭრეს, 150 კაცი დაიღუპა ალვირახსნილი რასისტების ხელით. პრეტორიის ხელისუფლები, ხაზგასმულია დოკუმენტში, ცდილობენ ასეთი ღონისძიებებით ჩაახშონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი მოსახლეობის გამოსვლები რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ.

გარდაიცვალა ედუარდო დე ფილიპო

რომი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აქ გარდაიცვალა ცნობილი დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი ედუარდო დე ფილიპო.

იგი დაიბადა 1900 წელს ნეაპოლში და უკვე თერთმეტი წლისა პირველად გამოვიდა სცენაზე. 1931 წელს მან შექმნა თავისი დასი და დაიწყო დრამატურგიული საქმიანობა. ედუარდო დე ფილიპოს შემოქმედების აყვავების ხანაა ომისშემდგომი წლები, როცა მან შექმნა თავისი საუკეთესო პიესები და სპექტაკლები. მათგან ყველაზე ცნობილია „შობა კუპიელლოს ოჯახში", „მოჩვენებანი", „ფილუმენა მარტურანო", „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი", „ჩემი ოჯახი".

ედუარდო დე ფილიპოს მთავარი თემა ყოველთვის იყო უბრალო იტალიელის ცხოვრება ბურჟუაზიული საზოგადოებით შობილი მთელი სიძნელეებითა და გაჭირვებით. მისი პიესების სოციალური მნიშვნელობა, ფსიქოლოგიური სიღრმე შეხამებულია ნატიფ კომიზმთან, გროტესკთან.

მისი ბევრი ნაწარმოები ნათარგმნია რუსულ ენაზე და არაერთხელ დადგმულა საბჭოთა თეატრების სცენაზე. ედუარდო დე ფილიპოს თეატრი საგასტროლოდ იყო საბჭოთა კავშირში.

მოსკოველთა დიდი ინტერესი

მოსკოვი, 1 ნოემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ.). ქართული საოპერო მუსიკის მარგალიტით — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისით" სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე გაიხსნა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. თეატრს ამჯერადაც არ უღალატია თავისი დიდი ხნის ტრადიციისათვის — უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია იგი დიდი ქართველი კომპოზიტორის ოპერებით ხსნის ხოლმე ახალ თეატრალურ სეზონებს, ეგებება ყველა მნიშვნელოვან ეტაპს თავის შემოქმედებითს გზაზე.

— ბედნიერია ხალხი, რომელსაც შეუძლია ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოიტანოს ესოდენ ღრმად ეროვნული და, ამასთანავე, ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობით აღსავსე ოპერა „დაისი", — თქვა ამ ფაქტის შეფასებისას სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტ. ხრენიკოვმა. — ლირიკული ჟანრის ეს ოპერა, რომელიც ესოდენ ხატოვნად და ღრმად გადმოსცემს ქართული ხალხური მუსიკალური ენის სიმდიდრეს, მსმენელს აცვიფრებს თავისი პატრიოტული ჟღერადობით. იგი დღესაც აქტუალურია და ნათელი მუსიკალური სახეებით მოუწოდებს თანამედროვეებს საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენონ სამშობლოს ინტერესები, ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობა მის წინაშე.

სპექტაკლის დაწყების წინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივს გულთბილად მიესალმა და მიულოცა გასტროლების დაწყება სსრ კავშირის დიდი თეატრის გენერალურმა დირექტორმა ს. ლუშინმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატმა ჯ. კახიძემ.

...იხსნება ფარდა და მაყურებელი თითქოს საქართველოში, ოპერის გმირების ემოციურ ატმოსფეროში ხვდება. ჟღერს ოპერის უვერტიურის პირველი აკორდები — მუსიკა, რომელმაც შეიძინა დამოუკიდებელი საკონცერტო ცხოვრება, როგორც დასრულებულმა პიესამ სიმფონიური ორკესტრისათვის.

და მაყურებელი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ოპერის გმირების ბედის თანაზიარი ხდება. ასე იყო წინათაც, როცა „დაისი" ჟღერდა მოსკოვის სცენებზე, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ერევანში, ალმა-ათაში, სარატოვში, სვერდლოვსკსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, სადაც იგი სხვადასხვა დროს დადგმულა.

— ამ ოპერაში, — იხსენებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. კოზლოვსკი, — საუკეთესო ქართველი მომღერლები მახსოვს. საქართველო ხომ ყოველთვის განთქმული იყო თავისი ხმებით, ხოლო ზ. ფალიაშვილის შესანიშნავ ქმნილებებში მონაწილეობა მომღერლისათვის ყოველთვის უდიდესად პრესტიჟიანი. და აი, ახლა ქართულმა თეატრმა წარმოგვიდგინა სრულიად ახალი მომღერლები — ა. ხომერიკი, ე. გეწაძე, მ. ეგაძე, თ. ლაფერაშვილი, ნ. გელაშვილი და სხვები. არსებითად ეს ახალგაზრდული სპექტაკლია. მაგრამ რა ხმების ანსამბლია!

მართლაც, ამ საღამოს ყველა, ვინც დიდი თეატრის ბილეთების ბედნიერი მფლობელი გახდა, დატყვევა თბილისის საოპერო თეატრის ახალგაზრდა მომღერლებმა. მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ მათ ტაშს, ხელმეორედ იძახებდნენ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად სსრ კავშირის სახალხო არტისტს ლ. ჭყონიას, რომელმაც, როგორც ყოველთვის, დიდი ოსტატობით შეასრულა მაროს პარტია. მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ი. სუხიშვილის მიერ შესანიშნავად დადგმულმა ქართულმა ცეკვებმა, რომლებიც ორგანულად შეერწყა სპექტაკლს.

დირიჟორის პულტთან იდგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა.

მაშ ასე, დაიწყო თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები დიდ თეატრში. წინ არის საინტერესო შეხვედრები მოსკოვის საოპერო მუსიკის მომთხოვნ მოყვარულებთან, დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივებთან, რომლებიც დიდი ინტერესით ეკიდებიან თეატრის გასტროლებს, რეპერტუარს.

— ჩვენი თეატრის გასტროლები ქვეყნის პირველ სცენაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბაღურაშვილმა, — დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, ქართველი და რუსი ხალხების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის სულიერი ნათესაობის ნათელი გამოხატულებაა. ჩვენმა თეატრმა ქვეყნის მთავარ სცენაზე შეცვალა ყირგიზეთის საოპერო თეატრი, რომლის გასტროლებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში დიდი წარმატება ხვდა წილად. მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნებასთან შეხვედრა იმ დიადი იდეალების გამოხატულებაა, რომლებიც საფუძვლად უდევს მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურას.

სპექტაკლს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. შაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.



• •

სურათებზე: მოსკოველმა მაყურებლებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს ფალიაშვილის ოპერა „დაისის" შემსრულებლები.

მ. დათიკაშვილის ტელეფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იონა ვაკელი

ჭაღარა

რა დრო გასულა, წასულა
დიდი, მცირე თუ პატარა,
მუდამ მღელვარე ცხოვრებამ
ძველ ბილიკებზე მატარა...
ოხერმა წელთა სიმძიმემ
არც მომკლა, არც გამახარა,
გმირულმა შემართებამაც
ფრთები ნელ-ნელა დახარა...
ეს თმაც რა ადრე გათეთრდა,
წვერზეც მომძლავრდა
ჭაღარა,
წისქვილში რომ არ
ვყოფილვარ,
ფქვილი ვინ შემომაყარა!

უყვავილო ხეები

განაზულია,
წვავს თაკარება
მწვანე მინდვრებს და
თაფლისფერ დღეებს,
ფუტკარი მაინც
არ ეკარება
ნექტარმოკლებულ
ხახრალ ხეებს...
ღმერთო, უშველე
ვენახში ვაზებს,
ნურც ხეტყეთ დასჯი
აქორილ ხეებს,
ნუ დაგვიმალავ
ამ ქვეყანაზე —
სიყვარულის და
სიცოცხლის დღეებს!

ქართველ მბეჭდავთა წარმატება

შეჯამდა 1984 წლის მესამე კვარტალში გაზეთ „პრავდის" საუკეთესო ბეჭდვისათვის ადგილობრივი სტამბების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „პრავდის" გადაწყვეტილებით, იმ სტამბებს შორის, რომლებიც გაზეთ „პრავდას" ოფსეტურად ბეჭდავენ, მესამე ადგილი მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის კოლექტივს.

(საქინფორმი).

ყვავილები ობელისკთან

სოფელ სარფის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ინიციატივით კვლავ აღორძინდა ძველი ხალხური დღესასწაული „კოლხობა". წელს იგი გაიმართა რაიონის ცენტრში — დაბა ხელვაჩაურში.

კარგი მაჩვენებლებით მოეგებნენ დღესასწაულს რაიონის მშრომელები. მეჩაიეებმა მოკრიფეს 22 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბეს საგეგმო დავალებას. მეციტრუსეები პირობას დებენ, რომ მოკრეფენ 70 ათას ტონა მანდარინს, ფორთოხალსა და ლიმონს—გეგმაზე გაცილებით მეტს.

დღესასწაული დაიწყო სოფელ მახოს კოლმეურნეობის მექანიზატორის თენგიზ ნაკაშიძისა და სოფელ აჭარისწყლის კოლმეურნეობის გულნარა ქელიძის ქორწილით. ამ დღეს ხელვაჩაურში გააშენეს გმირი დედების ხეივანი. აქ დარგეს თავიანთი ხე ახალდაქორწინებულებმაც.

დღესასწაულზე გამოაცხადეს ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის დადგენილება რაიონის საპატიო მოქალაქეთა წოდების მინიჭების შესახებ. საპატიო მოქალაქეები გახდნენ — სოფელ სარფის უხუცესი მასწავლებელი ა. თანდილავა, დიდი სამამულო ომის მონაწილე პოეტი მ. ვარშანიძე, პენსიონერი პედაგოგი მ. ბუაძე, გადამდგარი გენერალ-მაიორი მ. წინწკილაძე.

დღესასწაულის მონაწილეებმა პატივი მიაგეს დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველიდან შინდაუბრუნებელთა ხსოვნას, დღეების ობელისკი შეამკეს ყვავილებით. (საქინფორმი).

ამა წლის 17 ოქტომბერს „ლიტერატურნაია გაზეტაში" რუბრიკით „კანონი იცავს პიროვნებას" გამოქვეყნებულია არკადი ვაქსბერგის ნარკვევი „მაგალითი", რომელიც სასამართლო პრაქტიკის ორ ამბავს ეხება.

პირველში მოთხრობილია ვინმე ლუდმილა ევგენის ასულის შესახებ, რომელიც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ სრულიად ახალგაზრდა, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადიდან შორს, ძალზე შორს, ახლად დაფუძნებულ ქალაქში გაემგზავრა, იქ დასახლდა და მთელი ცხოვრება შეალია კულტურის კერის შექმნას, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემაც მოიხვეჭა, მაგრამ ბოლოს, ლამის ოცდაათი წლის შემდეგ— საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა ცილისწამების ნიადაგზე. სახალხო სასამართლო რიგიანად ვერ გაერკვა საქმეში და ამ დამსახურებულ და უანგარო მოღვაწეს „მექრთამეობისა" და „გამოძალვისათვის" 5 წლის მსჯავრდადება მიუსაჯა. მართალია, რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს ჩარევის შემდეგ საქმე ხელახალი გამოძიებისათვის დააბრუნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მართლმსაჯულებამ დაიგვიანა — შეურაცხყოფილი და უსამართლოდ მსჯავრდადებული ქალი ინფარქტმა შეიწირა.

მეორე ამბავს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ეხება, ქვემოთ სრულად გთავაზობთ.

მაგალითი

ისე მოხდა, რომ ეს სამწუხარო ამბავი დაემთხვა სულ სხვა — დროის, სიუჟეტის, „გეოგრაფიისა" და ფინალის მიხედვით სულ სხვა ამბავს. მინდა ძალზე მოკლედ გიამბოთ მის შესახებ, არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ გულუბრყვილოდ შევადარო ისინი ერთმანეთს. მეორე ამბავი უფრო თვალსაჩინოდ ადასტურებს სრულიადაც არა ახალ, მაგრამ მარად აქტუალურ აზრს: ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება გადაწყდეს, ყოველგვარი კვანძი შეიძლება გაიხსნას, თუ მხედველობაში იღებენ რეალურ ცხოვრებას, პირობებს, რომლებიც არსებობს, და არა იმას, რაც მხოლოდ შეიძლება არსებობდეს.

...ერთ-ერთ სოლიდურ იურიდიულ ფორუმზე განიხილავდნენ დატაცების საქმეთა სასამართლო პრაქტიკას. მომხსენებელი ფაქტებით ოპერირებდა: ზოგიერთი სასამართლო მეტისმეტად ლიბერალურად ეკიდოდა დამნაშავეებს.

იყო ერთი განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაგალითი. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც, ჩვეულებრივ, დატაცებლებისადმი შეუწყნარებელია, მოულოდნელად ისეთი განაჩენი გამოიტანა, რომ გაგაოცებდათ თავისი ლმობიერებით. სვეტლანა ნიკოლოზის ასულ ს.-ს, ქალაქ რუსთავის ეკონომისტს, რომელმაც თითქმის 14 ათასი მანეთი სახელმწიფო ფული მიითვისა, პირობითი სასჯელი მიუსაჯეს! ჩურჩული, რომელიც დარბაზში გაისმა, ნიშნავდა, ასეთი შეღავათებით ბოროტებას ვერ აღკვეთავო...

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი გიორგის ძე კარანაძემ სიტყვა ითხოვა განმარტებისათვის. აი როგორ მაქვს ჩაწერილი ჩემს ბლოკნოტში მისი მოკლე სიტყვა:

„სამი წელი 14 ათასი მანეთის დატაცებისათვის... თუ მარტოოდენ ამ ინფორმაციას დავჯერდებით, განაჩენი მართლაც შეუწყნარებლად ლმობიერად მოგეჩვენებათ. მაგრამ ვინ არის ეს დამტაცებელი? როგორ მიითვისა ფული? რატომ? რა იქნა ეს ფული? თვითონ ბრალეული როგორ უყურებს თავის საქციელს? სანამ პასუხს არ გავცემთ ამ კითხვებს, ვერ ვიტყვით, რამდენად სამართლიანია განაჩენი.

თქვენ მხოლოდ ქაღალდები წაიკითხეთ, ჩვენ კონკრეტული ადამიანი ვნახეთ. ვნახეთ და მოვუსმინეთ. ეს სრულიადაც არ არის ერთი და იგივე: მარტოოდენ წაიკითხო თუ ნახო და მოუსმინო.

მსჯავრდადებული სვეტლანა ნიკოლოზის ასული ს. 23 წლისაა. ხელმოკლე ოჯახის შვილია. სიყმაწვილის მიუხედავად, კოლექტივში დიდი ავტორიტეტი აქვს, პატივს სცემენ და ენდობიან. მას შემდეგაც კი, რაც ეს ამბავი დაემართა. აი რა მოხდა: მან უღირსი, არამზადა კაცი შეიყვარა (ცხადია, გვარი დაასახელა, მე კი ამ გვარს ასო „დ"-თი აღვნიშნავ. — ა. ვ.). ეს დ. ერთგულებას ეფიცებოდა, არწმუნებდა, ცოლად უნდა შეგირთოო, მაგრამ მშობლები წინააღმდეგებიანო, ასეთი პირობა დამიდესო: ისეთი ქალი შეირთე, რომელსაც ავტომანქანა „ვოლგა" მოჰყვებაო.

ისინი სვეტლანას მშობლებთან ცხოვრობდნენ. საქვეყნოდ და ამკარად ყველას ცოლ-ქმრად ეცნობოდნენ, საერთო მეურნეობას ეწეოდნენ და ბავშვს ელოდნენ. დ. არწმუნებდა: მე არასოდეს არ მოგატყუებ, მაგრამ ოჯახში ასეთი ტრადიცია გვაქვს — დედ-მამას წინ ვერ აღვუდგებითო. ზაგსში ვერ წამოვალ და ვერ დავქორწინდები, როგორც წესია ისე, რაკი ისინი წინააღმდეგი არიანო.

სვეტლანას ეშინოდა უმამოდ არ დაეტოვებინა მომავალი შვილი. ასე ეგონა: საკმარისია მისი მშობლების სურვილი დააკმაყოფილო, და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მან ისარგებლა უფროსი ამხანაგების ნდობით და სხვადასხვა დროს ქარხნის სალაროდან 14 ათასი მანეთი მოიპარა (ა. კარანაძემ გვიამბო, სახელდობრ როგორ ჩაატარა ეს დანაშაულებრივი ოპერაცია. ამ ადგილს გამოვტოვებ — არ მინდა ვინმეს ვასწავლო ეს სამარცხვინო ხელობა. — ა. ვ.). საჭირო თანხას ცოტაღა აკლდა, როცა სვეტლანა მიხვდა, რომ „სიყვარულის ყიდვა შეუძლებელია. მით უმეტეს — მოპარული ფულით". ეს სიტყვები მან გვითხრა, შეტანილია ოქმში, როცა თვითონ აღიარა დანაშაული: მთელი მითვისებული ფული მან ნებაყოფლობით დააბრუნა. თანაც დასძინა: „პატიოსან ცხოვრებაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს".

ამ შემთხვევაში სასამართლომ საჭიროდ არ ცნო მკაცრი განაჩენი გამოეტანა, რადგან ეს მკაცრი კი არა, სასტიკი განაჩენი იქნებოდა, მაშასადამე — უსამართლო...".

შემდგომში თბილისში შევხვდი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს ჰაჯიმურატ დიმიტრის ძე ვალიევს, რომლის თავმჯდომარეობითაც სვეტლანას სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. მან ა. კარანაძის ნაამბობს რამდენიმე დეტალი დაუმატა. აი როგორი, მაგალითად: სვეტლანას მიერ დაბრუნებული ყველა კუპიურის ნომერი ემთხვეოდა იმ ნომრებს, რომლებიც ბანკმა აღნიშნა. მაშასადამე, სწორედ ის ფული დაუბრუნებია, რომელიც სალაროდან წაიღო, და არა მისი ეკვივალენტი. ზაზისათვის ამ დეტალს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სასამართლოსთვის კი ეს, თუმცა არა პირდაპირ, ადასტურებდა განსასჯელის გულწრფელობას, მისი ჩვენების სისწორეს. ისევე, როგორც აი, ეს დეტალი: იმავე დღეს, როცა სვეტლანა გამოცხადდა და დანაშაული აღიარა, დ. უკვალო-უკვალოდ გაქრა. დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა ახალი ცოლით და საკუთარი „ვოლგით".

ქართველ მოსამართლეებს, ალბათ, გაუჭირდათ ამ ლმობიერი განაჩენის გამოტანა. მათ ჩემზე და თქვენზე ნაკლებად არ ესმით დროის მკაცრი მოთხოვნა — დავამყაროთ საყოველთაო წესრიგი, გაბედულად და უკომპრომისოდ დავსაჯოთ მექრთამეები და ქურდები, და, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, თუ როგორ მოეკიდებიან მათს „დონლობობას" ისინი, ვინც ასეთ განაჩენში მხოლოდ ცუდი მსაჯულობის მაგალითს დაინახავს.

მაგრამ ცილ-ჭორებისა და საყვედურების შიშმა ხელი ვერ შეუშალა მათ სინდისისა და კანონის ერთგულნი დარჩენილიყვნენ. საქმე, რომელსაც ისინი არჩევდნენ, მათთვის იყო მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქე მავანის საქმე, და არა სტატისტიკური ცნობის მორიგი **მაგალითი**.

რა გვიჩვენა სასამართლომ, როცა ბრალდებულის ცხოვრებას ჩასწვდა, გაიგო და გაითვალისწინა მისი მძიმე (ხაზი გავუსვათ: მძიმე!) დანაშაულის აღმძვრელი მოტივები? დამტაცებლებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება, იმათი მფარველობა, ვინც ხაზინას ძარცვავს? თუ სიბრძნე, სიდინჯე, ადამიანურობა, ურომლისოდაც „იუსტიცია" ითარგმნება არა როგორც „სამართლიანობა", არამედ როგორც „სიცრუე"?

ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა მან გვიჩვენა ობიექტურობის **მაგალითი**, რომელზეც არავითარი გარეშე გავლენა არ მოუხდენიათ, ვალის მოხდის **მაგალითი** იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოგვიდგება ეს **მაგალითი** წლიურ და კვარტალურ ანგარიშებში.

ლუდმილა ევგენის ასულის განაჩენი კი, თუ იყო კიდევ რაიმე **მაგალითი**, მხოლოდ და მხოლოდ ნაჩქარევობისა და ფაციფუცის მაგალითი, ოღონდ არა მისწრაფებისა იმისადმი, რომ რაიმე წარმატებას მიაღწიონ უსინდისო მექრთამეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, შესაძლოა, რომელიმე ანგარიშში, რომელიც მოკლებული იქნებოდა რეალურ შინაარსს და ცხოვრებისეულ სიმართლეს, ეს კარგ **მაგალითადაც** კი გამოიყურებოდა: აი, ჩვენც კვალში მივდევართო დროებას! არ ჩამოვრჩებითო!

მაგრამ, ვითომ „ჩამორჩებით"? იქნებ სწორედ მაშინ, როცა ლუდმილა ევგენის ასულს ალტაცებული მგზნებარებით ბოთლისა და ერთი კოლოფი კანფეტის „გამოძალვას" ვაბრალებდით, ნამდვილი წამგლეჯები მშვიდად ძარცვავდნენ ახლობლებს და შორებლებს? ალბათ, ასეც იქნებოდა... იმიტომ, რომ მოჩვენებითი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა საუკეთესო საფარია ნამდვილი დამნაშავეებისათვის: ეს უძველესი ჭეშმარიტებაა.

მაგალითი ანგარიშებისათვის და მაგალითი ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისათვის — სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. ეს ძველი ჭეშმარიტება განსაკუთრებულ აზრს იძენს, როცა ლაპარაკია არა ციფრების სვეტზე, არამედ პატიოსნებაზე, სახელზე, თავისუფლებაზე, ზოგჯერ კი სიცოცხლეზეც.

იმიტომ, რომ მაგალითი მაგალითია, ადამიანი კი ადამიანი.

„ლიტერატურნაია გაზეტა",
1984 წ. 17. X.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

აღვკვეთოთ ლოთები საჭესთან

„კომუნისტის" რეიდი

საყოველთაო-სახალხო შრომის ჭეშმარიტი გამოხატულება იყო წლეულს კახეთის ზვრებში გაჩაღებული რთველი. ყურძნის უხვი მოსავლის მარნებში მისატანად ქუდზე კაცი გამოვიდა. მეზვრეთა მხარდამხარ მკლავმოუდუნებლად შრომობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლები, რთველის ორგანიზატორებს დიდ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან გამოგზავნილი მძღოლები.

ცხადია, ამ პერიოდში ვენახებში მისასვლელ და ახლომახლო გზებზე საგრძნობლად გაიზარდა მოძრაობა. ამიტომ რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოდან ადგილებზე გაგზავნეს გამოცდილი მუშაკები, რომელთა დახმარებით უზრუნველყვეს ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა, მოძრაობის უსაფრთხოება. ეს არცთუ ისე იოლი გამოდგა, რადგან, სამწუხაროდ, გზებზე ბევრნი იყვნენ წესების დამრღვევი მძღოლები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სხვა ავტომანქანებს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც მთვრალი მართავდა ავტომანქანის საჭეს. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა არაერთი ასეთი სამარცხვინო ფაქტი გამოავლინეს.

აი ისინიც: ედვარდ ზუკატოვი მთვრალი მართავდა მუკუზნის მეღვინეობის მეურნეობის „გაზ-52" მარკის ავტომანქანას, ლეონიდე ტაბალუა მთვრალი უჯდა ზუგდიდის სამეურნეობათაშორისო ავტოსატრანსპორტო საწარმოს „კაზ-608" მარკის ავტომანქანის საჭეს, რევაზ ავგაროზიშვილიც იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა თელავის ალაზანშენის ავტოსატრანსპორტო საწარმოს „გაზ-503" მარკის ავტომანქანის საჭესთან. მერაბ ნიორაძისათვის ისე აებნია ღვინის თავგზა, რომ ჰკაანის კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს ორიენტაცია დაკარგა და სოფელ ოქტომბრიდან ყვარლის გზის გამოსასვლელთან ავტომანქანა თხრილში გადაჩეხა.

ყველა ეს მძღოლი პროფესიონალია და, რა თქმა უნდა, უპირველესად ისინი უნდა აძლევდნენ სხვებს წესრიგის მაგალითს, მაგრამ პირიქით იქცევიან. ალბათ არც იმ კოლექტივებშია სათანადო დონეზე დაყენებული შრომისა და საწარმოო დისციპლინა, სადაც ისინი მუშაობენ.

არცთუ ისე იშვიათია, როცა ზოგიერთი თანამდებობის პირი მთვრალი უზის ავტომანქანის საჭეს. ასეთი მუშაკებისგან რა მაგალითი უნდა მიიღონ ხელქვეითებმა?

მთვრალი მართავდა საკუთარ „ჟიგულს" ყვარლის რაიონის ახალსოფლის სანერგე მეურნეობის მთავარი ეკონომისტი ომარ სარჯველაძე. გალეშილი უჯდა „ჟიგულის" საჭეს გურჯაანის ხე-ტყის ბაზის დირექტორი გურამ კიკონიშვილი. ასევე ნასვამი მართავდნენ მოტოციკლებს ყვარლის ადგილმრეწველობის ქარხნის მექანიკოსი ალექსანდრე ლიმანსკი და ამავე რაიონის გაზკანტორის მუშა გივი ცაცაშვილი. ყვარლის რაიკოოპერატივის მაღაზიის გამყიდველს დავით დავითაშვილს საერთოდ არა აქვს ავტომანქანის მართვის უფლების მოწმობა, მაგრამ გამომთვრალიყო და ისე მიაქროლებდა ავტომობილს.

კარგად უნდა ჩაუფიქრდნენ თავიანთ საქციელს ისინი, ვინც არაფრად აგდებს გზაზე მოძრაობის დადგენილ კანონს და მთვრალი დააგელვებს ავტომანქანას. ავტომანქანა და ლოთობა კი სრულიად შეუთავსებელი ცნებებია.

სარეიდო ბრიგადა.

ყაბახი

ევროპის ჩემპიონატის თბილისური პრელუდია

ხვალ, 4 ნოემბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში შეხვდება ჩეხოსლოვაკიის გუნდს.



ამ მეტად საპასუხისმგებლო პაექრობისთვის უკეთ მომზადების მიზნით საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებმა ფეხბურთელები მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოიყვანეს თბილისში, სადაც მათ, უფროსი მწვრთნელის, გენადი კოსტილევის თქმით, ვარჯიშისა და დასვენებისთვის ყოველგვარი პირობები შეუქმნეს.

...მართლაც ერთ რამედ ღირს ამ 16 წლის ჭაბუკთა საწვრთნელი მეცადინეობის ცქერა. ნებისმიერ, თითქოსდა მოსაწყენ ვარჯიშს ისინი აზარტულ, ტემპერამენტიან შეჯიბრებად აქცევენ ხოლმე. მცველები ეჯიბრებიან თავდამსხმელებს, ნახევარმცველები — ერთმანეთს, ხოლო ყველანი ერთად — მეკარეებს. გუშინ, „ლოკომოტივის" სტადიონზე კარის დარაჯებმა დიდი ბრძოლა გამოუცხადეს მინდვრის მოთამაშეებს, ყოველ გაშვებულ ბურთს ისე განიცდიდნენ, თითქოს ვარჯიში კი არა, მნიშვნელოვანი ოფიციალური მატჩი ყოფილიყო.

საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **გენადი კოსტილევმა**, მწვრთნელებმა **ალექსანდრე კუზნეცოვმა** და **ნიკოლოზ ამირეჯიბმა** თბილისში 19 პერსპექტიულ ფეხბურთელს მოუყარეს თავი. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო და სამაყოა, რომ მათგან 5 თბილისელია. მეკარე **გია მაკახარაშვილი**, მცველი **ალან კულუმბეგოვი**, ნახევარმცველი **ზაზა რევიშვილი** და თავდამსხმელი **მამუკა ფანცულაია** თბილისის „ნორჩ დინამოელში" თამაშობენ, თავდამსხმელი **ვასილ მიქაშავიძე** კი განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის მოსწავლეა.

— როგორ შეარჩიეთ ნაკრების კანდიდატები? — ვკითხეთ გენადი კოსტილევს.

— სანამ ამ 19 ჭაბუკზე შევჩერდებოდით, დაახლოებით 80-მდე ფეხბურთელი შევამოწმეთ. ნაკრების კანდიდატებს მთელი წლის განმავლობაში ვეძებდით, სხვადასხვა რესპუბლიკურსა თუ საკავშირო შეჯიბრებაზე ვაგზავნიდით გამოცდილ მწვრთნელ-სელექციონერებს, რომელთაც ვავალებდით 1968-1969 წლებს დაბადებული პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევას. გარდა ამისა, ვითვალისწინებდით ადგილობრივი მწვრთნელების რეკომენდაციებსაც. ერთი სიტყვით, გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის დადგენას ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო უძღოდა წინ.

— ამ ასაკის ფეხბურთელთათვის ევროპის ჩემპიონატი ფაქტობრივად პირველად ტარდება. იქნებ ორიოდე სიტყვით გვიამბოთ ასპარეზობის ფორმულაზე.

— 1985 წლის მაისში უნგრეთის სტადიონებზე ჩაიმართება კონტინენტის პირველობის ფინალური ტურნირი, რომელშიც 16 ნაკრები კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრების მასპინძელს, უნგრეთის გუნდს ფინალში უკვე დაჯავშნული აქვს ადგილი, დანარჩენი 15 საგზურისთვის კი 30-ზე მეტი გუნდი იბრძოლებს. შესარჩევი ჯგუფების უმეტესობა მხოლოდ ორი ნაკრებისგან შედგება და მხოლოდ რამდენიმე ჯგუფში ასპარეზობს 3-3 კოლექტივი. შესარჩევი თამაშები 11 აპრილამდე უნდა დამთავრდეს.

— როდის შედგება განმეორებითი მატჩი ჩეხოსლოვაკიელებთან?

— ეს შეხვედრა 30 მარტისთვის არის დანიშნული, თუმცა ჩვენთვის ეს დრო ვერ არის მაინცდამაინც მოსახერხებელი. მოგეხსენებათ, ადრეულ გაზაფხულზე ჩვენს ფეხბურთელებს აკლიათ სათამაშო პრაქტიკა, ჩეხოსლოვაკიაში კი მარტში გაცხარებული სეზონია. სწორედ ამიტომ ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხვალინდელ მატჩს, რომელშიც მხოლოდ გამარჯვება არ იქნება საკმარისი — საჭიროა გამარჯვება დიდი ანგარიშით.

შემდეგ მწვრთნელებმა ილაპარაკეს თბილისზე, ფეხბურთისადმი ქართველი კაცის უზომო სიყვარულზე, ქომაგობის ნიჭზე და იმაზე, რომ ჩვენი დედაქალაქის „დინამოს" სტადიონი მუდამ სასურველი სარბიელია, ქვეყნის ნებისმიერი საკლუბო თუ ნაკრები გუნდისთვის. მერე კოსტილევმა თავისი ნათქვამი შეასწორა: „საჭიროა არა მარტო გამარჯვება, არამედ მასთან ერთად ლამაზი, შინაარსიანი თამაშიც — ისეთი, როგორიც თბილისელი გულშემატკივრის დახვეწილ გემოვნებას შეეფერება".

დ. ქავთარაძე.

• •

სურათებზე: მეკარე გ. მაკახარაშვილი; ჭაბუკ ფეხბურთელთა წვრთნის მომენტი.

ვ. ბენიაურის ფოტო.

სატურნირო ორბიტა

წყალბურთი. დამთავრდა სსრ კავშირის მე-40 საიუბილეო ჩემპიონატი. პირველი ადგილი მოიპოვა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდა ალმა-ათის „დინამო", მესამეზე — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის „დინამო", კიევის „დინამო" და „ბალტიკა". ტაშკენტში კი, სადაც VII-XII ადგილებისათვის ასპარეზობენ, ბოლო ტურების მატჩების შედეგები ასეთია: თბილისის „დინამო" დამარცხდა მოსკოვის „ტორპედოსთან" — 6:7 და ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდთან 7:10, ფრედ დაამთავრა შეხვედრა ლვოვის „დინამოსთან" — 8:8, ხოლო ბოლო მატჩში მოუგო „მოსკვიჩს" — 10:8. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი-ლვოვის „დინამო" — 8:8, ტაშკენტის „მეხნატი"-„მოსკვიჩი" — 7:7, მოსკოვის „ტორპედო"-„მოსკვიჩი" — 8:10, ლვოვის „დინამო"-„მეხნატი" — 8:10, ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი-„მოსკვიჩი" — 7:7, მოსკოვის „ტორპედო"-„მეხნატი" — 7:11, „მეხნატი"-ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი — 14:18, ლვოვის „დინამო"-მოსკოვის „ტორპედო" — 9:5. მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისათვის მოასპარეზე გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: მეშვიდე ადგილი წილად ხვდა ლვოვის „დინამოს", მომდევნო ადგილებზე არიან ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი, თბილისის „დინამო", „მოსკვიჩი", ტაშკენტის „მეხნატი", მოსკოვის „ტორპედომ" დაიკავა ბოლო მეთორმეტე ადგილი და დატოვებს უმაღლეს ლიგას.

ფარიკაობა. ალმა-ათაში დასრულდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირველობა. ხმლით მოფარიკავეთა შორის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ ქართველი სპორტსმენები — ქუთაისელი ბაქარ დოლაბერიძე და ბათუმელი ელგუჯა ქირია, ამ „დუეტმა" ბათუმელ დავით დარჯანიასთან ერთად ხმლით მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. დაშნით მოფარიკავეთა შორის შეჯიბრების მესამე პრიზიორი გახდა რუსთაველი სპორტსმენი მალხაზ ძნელაძე.

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთერთმეტე ტურის მატჩები. შეხვედრები ასე დამთავრდა: „დნეპრი"-მოსკოვის „დინამო" — 3:2, „შახტიორი"-„სპარტაკი" — 1:2, „ტორპედო"-„ზენიტი" — 0:1, „ყაირათი"-მინსკის „დინამო" — 0:1.

თბილისის „დინამო" მასპინძლობდა როსტოვის არმიის სპორტულ კლუბს. თამაშის მეექვსე წუთზე ანგარიში გახსნა როსტოველმა ანდრეევმა. თბილისელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, 53-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით ბურთი გაიტანა ჩივაძემ. თამაშის 90-ე წუთზე როსტოველთა კარში მესხის მიერ გატანილმა ბურთმა გამარჯვება თბილისელებს მოუტანა — 2:1. თბილისის „დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: აბუსერიძე, კუტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მიქაბერიძე, ჩქარეული (შენგელია), სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, მესხი.

• •

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის 31-ე პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. პარტია 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

3 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „წითელი ზარები". V სერია. 10.35 — სპორტლოტო. 10.45 — ანბანა. 11.15 — მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში. 12.05 — კონცერტი. 12.35 — მეგობრების სახეები. 13.15 — ფრონტელ მეგობართა კლუბი „გამარჯვებულნი". 14:35 — ტელენარკვევი საბჭოთა კავშირის გმირის მ. ი. შეველიოვის შესახებ. 14.45 — ჰოკეი. „ტორპედო" — „სპარტაკი". შესვენებისას — 15.20 — ახალი ამბები. 16.15 — ოჯახი და სკოლა. 16.45 — ეკოლოგიური დღიური. ისიკ-კული — ცხელი ტბა. 17.10 — მხატვრული ფილმი „ცირკის მსახიობი". 18.15 — გესაუბრებათ პოლიტიკური მიმომხილველი ვ. ბეკეტოვი. 18.45 — კონცერტი. 19.20 — აშკარა — დაუჯერებელი. 20.20 — მულტფილმები. 21.00 — „წითელი ზარები". VI სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ახალგაზრდული საღამო. 23.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 9.30 — კონცერტი. 10.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.35 — კონცერტი. 11.05 და 11.45 — დოკუმენტური ფილმები. 12.30 — ლენინგრადის ტელესტუდიის პროგრამა. 14.00 — ჰოკეი. „ტორპედო" — „სპარტაკი". I პერიოდი. 14.35 — კინომაყურებლის თანამგზავრი. 15.20 — კონცერტი. 16.05 — პოეზია. ვ. ბოკოვი. 16.35 — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.50 — „მწვერვალი". დოკუმენტური ტელეფილმი ევერესტზე საბჭოთა მთამსვლელების ასვლის შესახებ. 18.00 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო" — „სოკოლი". 20.15 — მუსიკალური კიოსკი. 20.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21,00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „კარუსელი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა (სტუდიაშია ვ. ბაბუნაშვილი). 10.45 — „ვერნისაჟი" — მშობლიური პეიზაჟები. 11.15 — რიტმული ტანვარჯიში (მ.). 11.45 — „პოეზიის ხუთი წუთი". 11.50 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ფანტაზია". 12.00 — მღერის რევაზ კაკაბაძე. 12.45 — „კინოაფიშა". 13.20 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა. 13.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.00 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოლდავეთის ბრძოლებში". 14.30 — კონცერტი — თქვენი თხოვნით! 15.25 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაშია ნ. ბასილაია). 15.55 — ახალი ამბები. 16.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — „ოჯახი და სკოლა" — სატელევიზიო ჟურნალი (მ.). 16.45 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი. 17.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ბომლი". 18.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.35 — მოსწავლეთათვის — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 19.40 — ცეროდენას ეკრანი. 20.00 — „მოამბე". 20.30 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის — „შეხვედრები". 20.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიმონ ჩიქოვანი" (პრემიერა). 21.15 — დოკუმენტური ფილმი „იყალთოს ნაფუძარზე". 21.35 — ახალგაზრდობისათვის — „ციმბირული რეპორტაჟები" — გადაცემა მესამე — „ჭაობების სოფელში". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

3 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (პროფკავშირების კულტურის სასახლეში) — **რიჩარდ III;** მინიატიურების სახელმწიფო — **ისევ სტუმრად, ამხანაგო ნოვოსელოვ!** მოზარდ მაყურებელთა ქართული (პლეხანოვის გამზირი № 127ა) — **წითელქუდა** (დილით, № 7 აბონ.), **ის მაინც ბრუნავს** (საღამოს, № 16 აბონ.); ფილარმონია — **ვია „პესნიარი"** (დიდ საკონცერტო დარბაზში). **უკრავენ მ. ფანიაშვილი და მ. ალეუნაშვილი** — ფორტეპიანო (კონსერვატორიის მცირე დარბაზში).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07473 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.